№ 2786
პარასკევი,
1 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2786
პარასკევი,
1 აპრილი

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

ელისაბედ ტატოს ასული სტეფანბეგოვისა, დავით ივანეს ძე და მარიამ თომას ასული ალბაშევები გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას ძვირფას

პეტრე სტეფანეს ძის სტეფანბეგოვისას.

პანაშვიდი 1 აპრილს, საღამოს 6½ საათზე. გვამის გამოსვენება მოლნინის ეკლესიაში შაბათს, 2 აპრილს, დილის 10 საათზე საკუთარ სადგომიდან (ფეთხაინის ქუჩა. საკუთ. სახლი). დასაფლავება ხოჯივანის სასაფლაოზე. (2—148—1)

შაბათს, 2 აპრილს, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი მუკდენის ბრძოლის დროს მოკლულის

პოლკოვნიკის თავ. ვლადიმერ გაბრიელის ძის მაყაშვილის.

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა დედა კნეინა სოფიო სვიმონის ასული, შვილები, ძმები, დები და დისწული გარდაცვალებულისა. წირვა დაიწყება დილის 10 ს., პანაშვიდი—12 ს. (1—146—1)

შაბათს, 2 აპრილს პეტრე-პავლეს ეკლესიაში (ავლაბარში) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

თამარ დავითის ასულის ჯაიანისა

რასაც აუწყებენ შვილები, რძლები და და. (1—147—1)

თ. შიხი და ნიკოლოზ ზაქარიას ძენი, კნ. ეკატერინე სიმონის ასული და მარიამ დავითის ასული ტუსიშვილები, ნადვორნი-სოვეტნიკი ბეჟან ქაიხოსროს ძე და პელაგია ზაქარიას ასული ავალიშვილები შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას უსაყვარლესის

კნეინა მარიამ ზაქარიას ასულის ტუსიშვილისას

წირვა გადახდილ იქნება მცხეთის სამთავისის მონასტერში შაბათს, 2 აპრილს, გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება სოფელ ახატანში (დუშეთის მაზრა) 5 აპრილს. (1—149—1)

ქართული წარმოდგენა საარტისტო საზოგადოების თეატრში (იაფ-ფასიანი). ორშაბათს, 4 აპრილს, 1905 წ. ვალერიან გუნია გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქმნება პირველად ახალი პიესა:

თანამედროვე დრამა 4 მოქმ. **მეზობლები** ტ. რამიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძე, ნ. დავითაშვილ, ო. ლეჟავა; ბ-ნნი: ვალ. გუნია, გ. გედევანოვი, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი, ზ. საფაროვი და სხვ. ადგილების ფასი დაკლებულია. მოსწავლეთათვის კუპონები ლოჟებში 40 კაპეიკად. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი **ვალერიან გუნია**. (3—უ.—1)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

პარასკევს, 1 აპრილს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება სამი **კავკასიური ჭიდაობა.** ცნობილი ჰერკულესი **ბრუდინ-ლიტუინოვი** დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **გრიგოლ არაქელოვს.** გამარჯვებულს ვერცხლის საათი. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი **ლუკა ვადიანიძე** დაეჭიდება ფალავანს **ნიკოშკა რომანენკოს** გამარჯვებულს ვერცხლის საათი. მესამე ჭიდაობა იჭიდავებენ: **არტურ და ალექსანდრ.** დასასრულ კომიკური პანტომიმა. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. დაწვრილებით პროგრამაში. (1—1)

სასტალრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა

იღებს შემკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—8)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა"-სთან

იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** (თეთრი და ყვითელი), **ბამბისა, ბოსტნეულისა,** და სხვა. შაბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—10)

საარტისტო საზოგადოების თეატრი

პარასკევს, 1 აპრილს, გაიმართება სომხურ ენაზე

კონცერტი

კომპოზიტორ-რეგენტის ირქამანდრიტის მამა

კომიტასისა

ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა აკადემიის კაპელლას მონაწილეობით. ეს კაპელლა 60 კაცისაგან შესდგება.

დაწვრილებითი პროგრამმა გაიყიდება თეატრის შესავალში. **დასაწყისი საღამოს 8 ს.**

ბილეთები არავის არ დაეგზავნება, არამედ გაიყიდება თეატრის კასსაში დილით 10-დან 2-მდე, საღამოთი 6 საათ. (2—137—2)

ქ. ბორჯომში, რუსის უბანში **იყიდება ორ-სართულიანი სახლი,** მოწყობილობით. ორ-მხრივ ქ. მსურველთ მიჰმართონ პატრონს: Ломанная ул. № 11. (4—138—2)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.

მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის გვერდით. ტელეფ. 729. (30—91—21)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—5)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაჯალაშვილი

იღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—46)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

- **გ. ი. ზიმინაძე.** კბილის 8—9 საათ.
- **ბ. ბ. მალაზაშვილი.** შინაგანი თირკმ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
- **ა. ი. ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
- **ნ. ი. კოლხი.**—ყურისა, ხახისა და ცხვ. 10—11.
- **ი. დ. ლაშაშიძე.**—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
- **ძ. ზ. მაჭახელოვი.** შინაგ. და ბავშვ. 12—1.
- **დ. ა. გედევანიშვილი.**—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
- **ქალი ე. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და საბავშო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
- **ქ. ნ. ცისკარიძე.**—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
- **ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.**—ქირურგია 1—2.

საღამოს:

- **ს. ი. ზარაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სააკადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ორის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—1 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ეკლესიის პირდაპირ მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოთი 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოისა. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—48)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 545 ტელეფონი № 825. (90—296—19).

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

მდებარეობა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სადაც იყო ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 ხოლო საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

30 მარტი

გუნჩულინი, 29 მარტი. (საკუთ. კორესპ.). იმ უმნიშვნელო ბრძოლას, რომელიც ჩვენს მარჯვენა ფრთაზე მოხდა, არ დაურღვევია სამხედრო მოქმედების ასპარეზზე გამეფებული მდუმარება. ჰფიქრობენ, ერთ თვეზე ადრე არ უნდა მოველოდეთ რაიმე სერიოზულ ამბავსაო. როგორც ჩინელთ წყაროები ირწმუნებიან, იაპონელები გარს უვლიან ჩვენს მარცხენა ფრთასა და გირინისაკენ მიდიან. არ მართლდება ხმა გირინის დაჭერაზე.

ამსტერდამი, 30 მარტი. ბატავიიდან მოსული დეპეშა იუწყება, ანამბასარის კუნძულებთან საზღვაო ბრძოლაა. დაწვრილებით არაფერი ვიცითო.

ვენა, 30 მარტი. „ნეუე ფრეიე პრესსე"-ს მიანდეს, დაარღვიოს ხმები იმპერატორის გადადგომის შესახებ.

ტულა, 30 მარტი. პატრონთა ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა. ზარალი დიდია. ქარხნის მოქმედება დროებით შეწყდა.

ჰელსინგფორსი, 30 მარტი. სეიმს დიდის ამბით დახურვენ შაბათს, 2 აპრილს, უმაღლესად დამტკიცებულ ცერემონიალისამებრ. გენ.-გუბ. მისის უდიდებულესობის სახელით დახურავს სეიმს და გაუშვებს ერობათა წევრებს.

ვარშავა, 30 მარტი. გენერალ-გუბერნატორს 60 გლეხ-კაცი წარუდგა, რომელთაც ითხოვეს გაუქმება იმ ჯარიმებისა, რომელნიც გმინებში საქმის პოლონურ ენაზე წარმოების მოთხოვნისთვისაა დადებული.

პეტერბურგი, 30 მარტი. დღეს ფინანსთა მინისტრმა მიიღო მოსკოვის მუშათა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებისაგან გამოგზავნილი დეპუტაცია, რომელმაც მინისტრს წარუდგინა მუშების ყოფა-ცხოვრების შესახები კითხვები. პროვინციაში ხმა გავრცელდა, რუსეთის მთავრობა ჰფიქრობს, ახლო მომავალში ახალი შინაგანი სესხი გამოუშვასო. „პეტ. სააგ."-ს მიანდეს განაცხადოს, რომ ეს ტყუილია. ახალ შინაგან ორ-მილიონიან სესხიდან პირველად 100 მილიონი გამოუშვეს, 28 მარტს ფინანსთა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, გამოიშვას დანარჩენი ჯამიც.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

30 მარტი

გონძიანძიანი, დღის 5 ს. და 20 წ. არმიის წინა რაზმები წამოვიდნენ წინ სადგურ შიომიაოძის იქით. მათ სადგურ შანძისთან კავალერია ჰყავთ. ბრძოლა არ მომხდარა. ცულიუშუს სამხრეთით ბევრია იაპონელთ რაზმები. სოფ. სიაოქუშისთან, 32 ვერსტის მანძილზე, აღმოსავლეთით შანძიდან, დაბანაკებულია იაპონელთ ძლიერი რაზმი, რომელმაც გაამაგრა სოფელი. ცხენოსანმა რაზმმა 24 მარტს გაიგო, რომ სოფელში ქვეითის ჯარის ერთი ბატალიონი და 8 ზარბაზანი დგას. დაზვერვის დროს მეორეჯერ დაიჭრა სოტნიკი ჩერვინსკი და 12 ყაზახი. ურალელების ორმა ვზვოდმა 24 მარტს იერიში მიიტანეს იაპონიის დრაგუნთა რაზმზე ტაიპინლინთან, აკუწეს ხუთი იაპონელი და ტყვედ წამოიყვანეს დაჭრილი აფიცერი და 20 სალდათი. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია.

ბატავია, 29 მარტი. კუნძულ ახნამბასთან ბრძოლაა. დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს. თვალს ადევნებენ ბრძოლას ნიდერლანდების სამხედრო გემები.

სინგაპური. გერმანიის გემმა „გინდუმ" კარდიფის ნახშირი დაუდო პანდაგიაში, კუნძულ ბილლიიტონთან. იქაურმა მოხელეებმა ნება დართეს საიგონში წაიღოს ტვირთი იმ პირობით-კია, რომ ნახშირი ჩააბაროს საიგონის კონსულს და გემს მცველები დაუყენოს.

საიგონი. ჯავშნოსანი „დეკარტე"-ი და 5 ნაღმოსანი დგანან სენჟაკის კონცხთან. იაპონიის გემები მიმოდიან კოხინხინის ნაპირებთან და ზვერავენ რუსის ესკადრას. ჩინეთის ჯონკამ აცნობა, იაპონელთ ორმა გემმა ჩემგან სანოვაგე იყიდესო.

ჩინჩავაძა. დაჭრილების გამოკითხვით დამტკიცდა, რომ იაპონელთ მთავარი ჯარები მუკდენსა, ტელინსა და კაიუანთან იკრიბებიან.

ტოკიო. ოფიციალურის ცნობებით, რუსები პოზიციებს ამაგრებენ ჩანტუნ-გირინის გზაზე. მუდამ დღე შეტაკებები ხდება. ამბობენ, რუსებმა სახალინზე კატორღელები შეაიარაღეს და აღუთქვეს, ვინც მამაცად იბრძოლებს, განათავისუფლონ. სახალინის გარნიზონი 3 ათასის კაცისაგან შესდგება.

ლონდონი. რუსის სპეციალისტმა-მეზღვაურმა აცნობა „პეტერბურგის სააგენტო"-ს, როჟესტვენსკი პირდაპირ ვლადივოსტოკს მიდის და ნახშირიც საკმაო აქვსო. ტოგოს მხოლოდ სამი ჯავშნოსანი ჰყავს. „როსსია" და „გრომობოი" მზად არიან ბრძოლისთვის; „ბოგატირი"-ც ჩქარა იქნება მზად. ნორვეგიის გემი „ჰენრი ვოლკოვ"-ი იაპონელებმა დაიჭირეს.

სინგაპური. რუსეთის ესკადრა, რომელმაც 26 მარტს ჩაიარა, შესდგებოდა 7 ჯავშნოსანისა, 2 ჯავშნიან კრეისერისა, 5 პალუბა-ჯავშნიანის კრეისერისა, 3 კომერციულ გემისა, რომელნიც კრეისერებადაა გადაკეთებული, 7 კონტრ-ნაღმოსანისა, 17 გემისა, 1 საავადმყოფო გემისა და ერთ ბუქსირისაგან.

ჩანჩავაძი. მთავარ სარდალი ჯარებს ათვალიერებს, ესალმება და მადლობას ეუბნება მათ სამსახურისთვის. ბევრი დაჭრილი რაზმში ბრუნდება. ჯარი მშვენიერ გუნებაზეა. გამარჯვების იმედი არ შესუსტებულა, მიუხედავად აუტანელ პირობებისა; გაზაფხულის დარი დგას.

ტანჟერი. „ტაიმს"-ი იუწყება, მაროკოს მთავრობას განზრახვა აქვს წინადადება მისცეს საფრანგეთის მისიას, დაბრუნდეს ფეციდან ტანჟერში, სადაც საფრანგეთის წარმომადგენელს ოფიციალურად გადასცემენ სულთნის პასუხს მომავალ რეფორმების შესახებ. სულთნის სურვილია, გერმანიამ, რაც შეიძლება ჩქარა, გაგზავნოს ფეცში სპეციალური ელჩი ახალ სავაჭრო კონვენციის შესახებ მოსალაპარაკებლად, მაროკოს საკითხის შესახებ საუკეთესო პირობების შესამუშავებლად საერთაშორისო შეთანხმებაზე და საერთაშორისო გარანტიაზე მაროკოს ტერიტორიალურ მთლიანობის შესახებ.

იალტა. ხალხის ჯან-საღობის დამცველ საზოგადოების განყოფილებამ იხელმძღვანელა 18 თებერვლის უკაზით და კურსკსა და სხვა ქალაქებში მომხდარ ამბების გამო მიმართა მინისტრთა საბჭოს განცხადებით, საჭიროა პოლიციის რეორგანიზაცია კანონმდებლობითი წეს-რიგით და მისი საქალაქო თვით-მმართველობებისთვის დამორჩილებაო. პასუხად საბჭოს საქმეების მმართველისაგან მოუვიდა საზოგადოებას ოფიციალური ცნობა, უმაღლესად ნაბრძანებია, თქვენ განცხადება გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს მისის აზრის გამოსათქმელადო.

რომნი, 29 მარტი. დღეს კიევიდან სამოსწავლო ოლქის მზრუნველი მოდის. ხმებია, საქალებო გიმნაზიაში უნდა მოახდინონ აფეთქებაო. გიმნაზიის მზრუნველი, საზოგადოება და მშობლები იკრიბებიან დღეს საღამოთი, რათა შეიმუშაონ ზომები მოსწავლე—მასწავლებელთა დასაცველად. ბევრს მშობელს ეშინიან და ვერ ჰგზავნის შვილს გიმნაზიაში.

რეველი, 30 მარტი. გუშინ საღამოთი ორმა ბოროტ-განმზრახველმა ორჯერ ესროლა რევოლვერი ბოქაულ მილკინს. ტყვია გაჩერდა ქაღალდების კონაში, რომელიც ბოქაულს ეჭირა ხელში. დამნაშავენი მიიმალნენ.

ჟურნალ გაზეთებიდან

რუსისა და იაპონიის ფლოტი ზონდის არხიპელაგში. ამსტერდამში დეპეშა მიუღიათ ბატავიიდან ანამბასარის კუნძულებს ახლო 30 მარტს საზღვაო ბრძოლა დაიწყოო. დაწვრილებითი ცნობა არ მოსულაო. ანამბასარის, ანუ ანამბასის (იგივე ახნამბა) კუნძულები სინგაპურსა და კუნძულ ნატუნის შუა მდებარეობენ, სინგაპურიდან დაახლოვებით 250 ვერსტზე ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. ცნობა ადმ. ტოგოსა და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრების ბრძოლაზე ამერიკულ გაზ. „ჩიკაგოდაილი ნიუს"-საც მისვლია ჩინურ წყაროდან, მაგრამ ეს ცნობა არა სჯერათ ბერლინში. დეპეშებიდან არა სჩანს, იაპონიის უმთავრესი ფლოტი შეებრძოლა რუსებს, თუ მარტო ადმ. დევას კრეისერების რაზმი დაეცა რუსის სატრანსპორტო გემებს.

ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას სრულად გაუვლია სინგაპურთან. საფრანგეთსა, ინგლისსა, ჰოლანდიასა და ამერიკას ბეჯითი ღონისძიება მიუღიათ თავიანთ კოლონიების ნეიტრალიტეტის დასაცველად.

ადმ. ტოგოს პლანი. „დეილი მეილ"-ი ჰფიქრობს, ადმ. ტოგო ამნაირად მოიქცევაო: თავდაპირველად იაპონიის სწრაფი კრეისერები რუსის ტრანსპორტებსა და ქვანახშირის მზიდველ გემებს დაეცემიან; შემდეგ, როცა ადმ. როჟესტვენსკი ჩინეთის ზღვას მიუახლოვდება, იაპონიის ნაღმიანი გემები მიიტანენ თავგანწირულ იერიშს რუსის ესკადრაზე. თუ რუსის ესკადრა მაინც როგორმე იაპონიის ზღვამდე მივა, იქ ზღვაში მშვენივრად ჩაწყობილი ნაღმები და იაპონიის მთელი ფლოტი დაუხვდება. ამავე დროს იაპონელები ვლადივოსტოკს ხმელეთიდანაც გზას მოუჭრიანო. („ნ. დ.").

რუსის ფლოტის გალაშქრება შორეულ-აღმოსავლეთისაკენ. გერმანული ოფიციოზური გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ"-ი კარგს არას მოელის ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის გალაშქრებისაგან. გაზეთი სწერს:

როგორც ვიცით, იაპონიის სამხედრო გემები მალაის არხიპელაგში შევიდნენ, მაგრამ დღემდე არ ვიცით, იაპონიის უმთავრესი ფლოტი მივიდა იქა, თუ მარტო იმისი მოწინავე რაზმი გაიგზავნა რუსის ესკადრის დასაზვერადა და შესაწუხებლად. ცხადია, რომ რაც უფრო შორს წავა და იაპონელების მოქმედების ბაზას მიუახლოვდება, მით უფრო დიდ გაჭირვებაში ჩავარდება რუსის ესკადრა, იაპონელებს-კი მით უფრო გაუადვილდებათ ქვა-ნახშირის ზიდვა და თუ დასჭირდათ—დაზიანებულ გემების შეკეთებაც. რუსები მხოლოდ თავიანთ სატრანსპორტო გემების იმედად უნდა იყვნენ და იმ ქვა-ნახშირით წავიდნენ იოლად, რაც ამ გემებზე აქვთ დამზადებული. უნდა ვიცოდეთ, რამდენიც რუსები შორს მიდიან, იმდენი ელევათ ეს ქვა-ნახშირი. ამიტომ საეჭვოა, რომ ადმირალმა ტოგომ თავისი უმთავრესი ფლოტი დაუხვედროს რუსებს მალაის არხიპელაგთან, მით უმეტეს, რომ რუსის ესკადრის ყოფნა ამ არხიპელაგში არაფერ ზარალს არ მოუტანს იაპონელებს. იაპონიის კრეისერების გაგზავნა-კი მალაის არხიპელაგში სწორედ გონივრული საქმეა: ამ კრეისერებს შეუძლიანთ, უდიდბრძოლოდაც საშინელი ზარალი მოუტანონ რუსის ფლოტს. რუსის ესკადრის ბედი მჭიდროდაა დამოკიდებული სატრანსპორტო გემებზე, რომლებსაც ქვა-ნახშირი მიაქვთ რუსის ესკადრისათვის. ეს გემები ნამდვილი ბაზაა რუსის ფლოტისა. ადვილად შესაძლებელია, რომ იაპონელები თავდაპირველად ამ ტრანსპორტებზე იერიშის მიტანასა და იმათ დაღუპვას ეცდებიან. თუ იაპონელ მეზღვაურების საოცარ გულადობასა და მოხერხებას გავიხსენებთ, უნდა ველოდეთ, რომ როცა რუსის ესკადრას სწრაფლ კრეისერები და ნაღმიანი გემები შემოეხვევიან, რუსის ადმირალი ველარ მოახერხებს თავის ტრანსპორტების დაცვას დაცემისა და ზარალისაგან. მაგრამ გინდ რუსის ადმირალმა თავის ტრანსპორტების დაცვაც მოახერხოს, მაინც დიდი განსაცდელი მოელის რუსის ესკადრას. ტრანსპორტებზე დამზადებული ქვა-ნახშირი დაულეველი არაა და თუმცა ჩვენ სწორედ არ ვიცით, რამდენი ქვანახშირი აქვთ რუსებს, მაგრამ მაინც შეგვიძლიან დარწმუნებით ვსთქვათ, რომ სულ ბევრი-ბევრი ეს ქვა-ნახშირი 6—8 კვირას ეყოთ და საეჭვოა, რომ რუსებმა შემდეგში მოახერხონ ქვა-ნახშირის საწყობების შევსება. მაშასადამე, ამ ხნის განმავლობაში რუსის ესკადრა უსათუოდ უნდა მივიდეს ვლადივოსტოკს და გზაში იაპონიის ფლოტი დაამარცხოს, რადგან იაპონელები, უეჭველია, თუ მალაის ზღვაში არა, ჩინეთ-იაპონიის ზღვაში მაინც დაუხვდებიან რუსებს. გინდ ამ ბრძოლაში რუსებმა გაიმარჯვონ, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსის ფლოტსაც აუცილებლად ისეთი დიდი ზარალი მოუვა, რომ ვლადივოსტოკს ძლიერ დაზიანებული მივა და ძნელი გამოსაცნობია, რის გარიგებას შეიძლებს ეს ფლოტი შემდეგში. და თუ, პირიქით, იაპონელები დაამარცხებენ რუსის ფლოტს და ვლადივოსტოკისაკენ არ გაუშვებენ, რუსის გემებს, უნახშირობისა გამო, მეტი ჩარა აღარ ექნებათ, ნეიტრალურ ნავთ-სადგურებში უნდა მოძებნონ თავშესაფარი და იარაღი აჰყარონ. („ო. ნ.")

გაზეთი ჰფიქრობს, ადმ. როჟესტვენსკი იმიტომ იდგა დიდხანს მადაგასკართან, რომ კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის ესკადრას ელოდაო; ალბად, ეხლა სადმე უჩინარ ადგილას შეუერთდა ამ ესკადრას და მერე შორეულ აღმოსავლეთს გაემართაო. შეიძლება, გაზეთის აზრი სწორეც იყოს, მაგრამ რუსის სააგენტოების დეპეშებიდან ისე სჩანს, რომ ადმ. როჟესტვენსკის მარტო თავისი ესკადრა მიუყვანია მალაის არხიპელაგში.

სკოლის გაკოტრება

IV

მასწავლებელმაც ხმა ამოიღო და გაიძახის, ჩვენი სკოლა სრულიად უვარგისიაო, ვიხრჩობით ამ სკოლაში ჩვენ თითონ და ვახრჩობთ ნორჩ ბავშვებს და მოზრდილ ყმაწვილებს იმ პირობებში, რომელთაც მასწავლებელი სულთა-მხუთავად გადაუქცე-

ვით, სასწავლებელი-კი პოლიციურ დაწესებულებადაო.

მართალია ეს ხმა მასწავლებლისა არ არის ძლიერი და საყოველთაო, მაგრამ თუ ამ სუსტ ხმას საქმე მოჰყვება, ეს უკეთესი იქნება, ვიდრე ხმა ძლიერი, მაგრამ სრულიად უშედეგო.

როგორც ყმაწვილთა აღზრდაში, ისე საზოგადოების პოლიტიკურ აღზრდაში საუკეთესო საშუალებად ცნობილია მაგალითი და არა სიტყვა. თუ მასწავლებელთ ჰსურთ მხოლოდ თავიანთი პროტესტის გამოცხადებით დაიცვან მასწავლებლის სახელი და მოიპოვონ მოსწავლეთა ნდობა, ეს შემცდარი აზრია,—მოსწავლეთ ესმის ათასი პროტესტი, სხვათა შორის, ამ ბოლო დროს მასწავლებლებისაც, მაგრამ მას აკვირვებს ის გარემოება, რომ მასწავლებელი, თუ ძალით არ დაითხოვეს, თავისით არას დროს არ მოშორდება სასწავლებელს. მხოლოდ ამ გვარი სისუსტე მასწავლებლისა, რითაც უნდა აიხსნებოდეს იგი, ვერ მოუხვეჭს მასწავლებელს სწავლის ნამდვილ გულშემატკივარის სახელს. საჭიროა მაგალითი და საქმე.

აწინდელ სკოლაში სწავლის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელიაო, ამბობს მასწავლებელი, მაშასადამე—საჭიროა ახალი სკოლა! ვინ უნდა შეჰქმნას ეს ახალი სკოლა? ზღვის პირად ჯდომამ და გამოდარების ლოდინმა შესაძლებელია ძალიან დიდხანს გასტანოს; ამიტომ საჭიროა თვითონ საზოგადოება შეუდგეს ეხლავე საქმეს, თვითონ საზოგადოებამ უნდა დააარსოს ახალი სკოლა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სასოგადოებას შეუძლიან შეჰქმნას ახალი სკოლა, თუ იმდენს გამჭრიახობას გამოიჩენს, რომ უარჰყოს აწინდელ სკოლის დიპლომი და მასთან ერთად შეზავებული უფლებანი. მხოლოთ თუ საზოგადოებას ამ უარის თქმა არ შეუძლიან, იგი ვერ შეჰქმნის ახალ სკოლას, პირიქით, ახალი სკოლაც რომ დაარსდეს, ეს სკოლა თითონ საზოგადოების წყალობით მალე მოიკიდებს ხავსს.

მაშ თუ საზოგადოება ჰგმობს დღევანდელ სკოლის სისტემას, უნდა შეუდგეს საქმეს. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი:

1. შესდგეს საზოგადო კრება მთლად კავკასიის მშობლების და მასწავლებლების წარმომადგენელთა (სხვაგან თითონ იზრუნონ თავიანთ თავზე).

2. ამ კრებამ უნდა გამოსძებნოს საშუალება ახალი (კერძო) სკოლების დასაარსებლად.

3) უნდა შეიმუშაოს სკოლის პროგრამები იმის დაგვარად, რომელი ეროვნების წარმომადგენელნი შეადგენენ ამა თუ იმ სასწავლებლის უმრავლესობას.

მართალია, მეტად ძნელია ისეთ რთულის საქმის დაწყება, როგორიც არის ახალის სკოლის დაარსება, მაგრამ ჩვენ შეუძლებლად არ მიგვაჩნია. საჭიროა მხოლოდ საზოგადოების მეტი გამჭრიახობა და თვითმოქმედება. ვამბობთ ამასთანავე, რომ სულ მცირე რამ გარიგებული საქმე მეტს მხნეობასა ჰბადავს საზოგადოებაში, ვიდრე მთელი მორევები სიტყვებისა და ათასნაირ აუსრულებელ დადგენილებებისა. **მან.—თანი**

სოფლად

ქვემო ჭალის საზოგადოება. მოთმინების ფიალა უძირო არა ყოფილა, მასაც სჩვევია ავსება და გამოხეთქაც. ქვემოჭალის სასოფლო საზოგადოების გლეხთა მოთმინების ფიალაც აივსო უხსოვარ დროიდგან ათას გვარ აუწერელ და გამოუთქმელ ჩაგვრა-სიდუხჭირის ვაებით. ამ საზოგადოებამაც საქართველოსა და მთლად რუსეთის ჩაგრულ ხალხთან ერთად მოისურვა გამოერკვია თავისი ჭირ-ვარამი. მოახდინა ოთხი-ხუთი ყრილობა, რომელზედაც ესწრობოდა ყოველთვის არა ნაკლებ სამიდან ხუთი ათას სულამდე, ქალი თუ კაცი, ქართველი და ოსი; აგრეთვე თავად-აზნაურობა და სამღვდელოებაც. სასიქადულოდ ამავე საზოგადოებისა, უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ მიუხედავად ასეთ მრავალ ხალხოვან და სხვა-და-სხვა წოდებათა და მტერ-მოყვარე პირთაგან შემდგარ კრებებისა, ყველა ყრილობამ ისე ჩაიარა, რომ იოტისოდენი რამე მეტი, საძრახისი და სხვა გვარი არა სასურველი შედეგი არა მოჰყოლია-რა, არც დაწვით, არც დარბევით, არც მოკვლით და სხვა, როგორც ეს ხდება სხვა მხარეებში. უნდა აღვიაროთ აგრეთვე, რომ ხალხი თუ სხვაზე მეტად არა, ნაკლებად არც აქ ღელდებოდა, მაგრამ ადგილობრივ რამდენიმე ინტელიგენტთა თხოვნით და ჩაგონებით ხალხი იკავებდა თავს და გლეხ-კაცობამ პატიოსნური და ნამდვილი სიდარბაისლე და წინდახედულობა უკიდურეს აღელვების დროსაც გამოიჩინა და დაამტკიცა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ღირსეულად ვერ დააფასეს ასეთი ქცევა ხალხისა, ვისგანაც ჯერ იყო და ვიღასიც თხოვნა-მეოხებით მაინც ჯარი ჩაუყენეს სოფელ ქვემო-ჭალას და კასპს და ისედაც დამშეულ და შეწუხებულ გლეხ-კაცობას შეუშალეს მყუდრო ცხოვრება-მუშაობა უხოცვენ ხარებს, უცარიელებენ ფქვილის გოდრებს, ჯიხვებს და სხვა, რამაც, მგონია, საქმეს უფრო ავნოს, ვიდრე არგოს. სასჯელი დანაშაულობისათვის კიდევ გვესმის! მაგრამ აქ რა მოხდა სამისო? იქნება ის, რომ არავინ დასწვეს, არავინ მოჰკლეს და არავინ გარეკეს, როგორც სხვაგან. მაგრამ ვის და როდის ურჩევია მართალი და მტყუანი და მიტომ ახლაც არ უნდა გვიკვირდეს.

ამის მიუხედავად ხალხმა მაინც დაახლოვებით გამოარკვია თავისი ჭირ-ვარამი და აღნიშნა თავისი მოთხოვნილებანი მთავრობასთან წარსადგენად*). ამ მოთხოვნილებათა შორის რამდენიმე მუხლი შეეხება ადგილობრივ მემამულე-მებატონე თავად-აზნაურებსაც. ამ მემამულეთა და აგრეთვე ახლო მომავალში დანიშნულ გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრების საყურადღებოდ მოგვყავს ქვემოდ თვით მოთხოვნილებანი, რადგან პირდაპირი მოლაპარაკება გლეხთა და მებატონეთა შორის, რომელიც დანიშნული იყო 20 მარტს, არ შესდგა, ვინაიდან თვით მებატონენი, რომელთა თხოვნა-ინიციატივით დაინიშნა კრება, არ მობრძანდნენ დანიშნულ ადგილას სოფელ ქვემო-ჭალაში, გარდა რამდენიმე პირისა, და რადგან გლეხ-კაცობაც სულ მოულოდნელის მიზეზით წავიდა მახლობელ სოფელ სამთავისში.

1. პირველად ღმერთი ვახსენოთ. ღმერთსაც პირველად ქვეყნიერება გაუჩენია თავისი შემკობილობით წყლითა და ტყითა, ბალახითა და ფრინველითა, ნადირითა და სხვ. შემდეგ-კი მათ პატრონად გაუჩენია კაცი,—ადამი და ჩვენც ყველანი მისი ჩამომავლები ვართ. მაშასადამე, ჩვენ გლეხკაცობაც, როგორც მემკვიდრენი ადამისა, უნდა ვიყვნეთ ქვეყნის პატრონები; მაგრამ დღეს ასე არ არის. თავად-აზნაურობას დაუჩემებია აუარებელი ადგილ-მამული გლეხ-კაცობას-კი თავის მარჯვენით სამუშაოდ საკმარიც არა აქვს. ეს ხომ ყველასთვის ცხადია და დიდიხნის უსამართლობაა. ამისათვის ვთხოულობთ: ა) ხალხს საკუთრებად მიეცეს მუქთად მთელი თავიანთი ნადელები თავის წანაჭრებით. მხოლოდ ვისაც შეუსყიდნია ნადელი, ეს ფული დაუბრუნდეს საიდანაც და ვისგანაც ეკუთნის. ბ) ხიზნებსაც მიეცეს საკუთრებად თავისი ნაჭერი მამულები მუქთად, რადგან ეს მამულები იმათი დიდი ხნის ოფლი და ამაგია, რომლებზედაც უხდიათ ხაზინისთვისაც და ბატონისთვისაც იმდენი ბაჟი, რომ დღეს ეს მამულები შესყიდულად უნდა ჩაითვალოს. გ) მოიპოვებიან კიდევ საბატონო გლეხები მოტყუებით და ძალით უნადელოდ დარჩენილი-გარიყულები; სამართლე მოითხოვს აღსდგეს მათი უფლებანი და იმათაც მიეცეთ ნადელები. დ) არიან აგრეთვე მოტყუებული ხიზნები, რომლებიც სხვა-და-სხვა ხრიკების წყალობით მებატონეებმა ახლა მოიჯარადრეებად გადააქციეს და ყოველ დღეს აყრას ემუქრებიან. ამათაც უნდა ისევ ხიზნის უფლება დაუბრუნდეთ და ნამდვილ ხიზნებივით მოექცნენ.

2, სიცივე ბუნების ძალა-მოვლენაა; მისგან გავეყინებოდით, მაგრამ ბუნება სამართლიანია. ამის მალამოთ გაუჩენია ტყეები, რომლებიც მხოლოდ რამდენისამე კაცისა და დაწესებულების კერძო საკუთრებათ გარდაქცეულან. თვითონ მოჭარბებული აქვთ, ხმარობენ, ჰყიდიან, ანაც ისე დაჰხარიან. ჩვენ, უმრავლესობა კი, შევცქერით შორიდან თვალ-ცრემლიანი, კანკალ-ცახცახით და ვამბობთ: კაცო, რად არის ეს ტყეები ერთი ორი კაცისა? რა ამაგი მიუძღვით მის მოყვანაში? დაუბარ-დაუთესიათ, მოურწყავ-მოუთოხნიათ, თუ რა არის? ასეთ ბუნების სიმდიდრეს და მით ერთად ჩვენ დანარჩენ ხალხის ბედსაც რამდენიმე კაცი თავის ნებაზე განაგებს: მოინებებს ტყეში ჭივ-ჭავსაც არ შეუშვებს და გახდის უდაბურად, მოინებებს და ისე ძირიან-ფესვიანათ მოაგვეინებს და ცხრა მთის იქითელს ვისმე გააზიდვინებს, რომ აქ ნასახიც აღარ დარჩება. ესეც ხომ უსამართლობაა. ამიტომ ვთხოულობთ: ყველა ტყეები ვისაც და საიდაც უნდა იყოს, დაიყოს რაიონებად. ყველა ამ რაიონში მცხოვრებლებს მიეცეს თანაბარი უფლება მუქთად სარგებლობისა გონივრულ სისტემით ამ რაიონებიდან მხოლოდ თავის საოჯახო საჭიროებათათვის და არა გასასყიდად. ამ გვარად ტყეების გაჩანაგების შიშიც უსაფუძვლო იქნება, რადგან მაშინ თვით ხალხი უფრო მეტად გაუფრთხილდება თავის სალაროს—საუნჯე ტყეს, როგორც თავის მარჩენელ სიყრმის შვილს.

3. წყალი, თევზი, ქვა, ქვიშა არავის შრომა-ამაგს არ წარმოადგენს და მხოლოდ ბუნებისავე სიმდიდრეა, მაშასადამე, ყველა ეს ყველასათვის უფასო და ყველგან დაუშლელი უნდა იყოს კერძო საჭიროებათათვის და დღევანდელსავით ბაჟს (ურემზე 30 კაპ.) არავის უნდა ახდევინებდნენ. ბაჟი უნდა გარდახდეს მხოლოდ იმ პირებს, რომელნიც ამაებით ვაჭრობა-ექსპლოტაციას გამართვენ. ბაჟის ნიხრს დააწესებს სასოფლო ყრილობა სოფლისავე თანხის გასაძლიერებლად.

4. რაც ტყეებსა და წყალზედ ვსთქვით, ესევე ითქმის ბუნებისავე სიმდიდრე ბალახზე, რაც საჭიროა იმ საქონლის საძოვრად, რომელთა ქედიც აცხოვრებს მთელი ქვეყნის კაცობრიობას. ამიტომ, ყველგან რაც-კი დაუმუშავებელი ადგილები იქნება და კაცს ხელოვნური ამაგი არა აქვს გაწეული, საბალახო ე. ი. საძოვარი შინაურ საოჯახო და სამუშაო საქონლისათვის ყველასათვის დაუშლელი და სრულიად უსასყიდლო უნდა იყოს, ცხვრისა და სხვაგვარ დიდ ფარა ნახირ-ჯოგებზე-კი, რომელთაც ვაჭრული ხასიათი აქვთ, ხალხისაგანვე დაწესებული უნდა იქმნეს ბაჟის ნიხრი, საიდანაც ყველა დიდი თუ მცირე მამულის პატრონი მიიღებს თავის მამულის რაოდენობის მიხედვით წილს.

5. აქამდის, რაც თქვენ სადალო მამულებს ვხნავდით, გვართმევდით მეოთხედს და მესამედსაც ჩვენივე ჩამოტანით, ქრთამებით, მუშით და სხვა. ყველა ეს აუტანელი გადასახადი უსამართლობად მიგვაჩნია. ეხლა ვიანგარიშოთ, რომ საშუალო მოსავალი თქვენი მიწებისა ჩვენ გვაძლევს ერთი-ერთმანეზე არა უმეტეს ექვს კოდ პურისა დღიურზე. ვაფასებთ ამას მიღებულის ნიხრით 18 მანეთად. ვიანგარიშოთ ახლა რა გვიჯდება: დღიურ მიწის მოხვნა და დაფარცხვა—4 მანეთი; ორი კოდი თესლი—6 მანეთი; მომკა თავის ხარჯით—6 მანეთი, სულ 16 მანეთი. მაშასადამე, თუ ამ ჩვენ ხარჯების სარგებელსაც არ ვიანგარიშებთ დღიურზე გვრჩება მოგება—2 მანეთის ანგარიში მხოლოდ. ამიტომ ვთხოულობთ მოისპოს სადალო მიწებზე ყოველი ქრთამი, მუშა, ჩატანა, სამოურაო და სხვა. მამულის პატრონმა უნდა მიიღოს ალაგობრივ არა უმეტეს ერთი მეათედ წილისა მოსავლისა, რაიცა შეადგენს თითქმის მთელ მოგებას. სადალო მიწები უნდა გაიცეს იმ პირებზე, რომელთაც თვით სოფლის ხალხი გადასწყვეტს. რაოდენობა მიწისაც სოფელმა უნდა გამოარკვიოს.

6. ჩვენ ყველანი, თავადიც, აზნაურიც და გლეხიც ერთი მამულის და ერის შვილები ვართ და ყველას თანაბარი უფლება უნდა გვქონდეს, მეტადრე კანონის წინაშე. კაცის ცოდვილი ბუნება ისეთია, რომ ყველას შურს და სძულს თავისზე სხვისი მეტობა; მეტადრე ისეთი მეტობა, რომელიც ვისმე კერძოდ, თავის ნიჭით არ დაუმსახურებია და რაღაცა შთამამავლობით ფარფაშობს უფლებების უპირატესობით. თუ თავად-აზნაურთა მამა-პაპათ რამე ღვაწლი მიუძღვის სამშობლოსა და ერისადმი, ეს მათი ღვაწლიც ამდენი ხნის გაბატონებით დიდიხანია შესყიდული და დასაჩუქრებულია. ამიტომ მოისპოს ყოველ გვარი წოდებრივი უპირატესობანი თავად-აზნაურობისა კანონების წინაშე. მოისპოს აგრეთვე წოდება გლეხისა და ყველა ჩვენ ერთად აღვიარებულ ვიქნეთ კაცებად, ერთნაირ ადამიანურის უფლებებით. ყველა თქვენგანი, ვისაც სოფლებთან რაიმე დამოკიდებულება გაქვთ, უნდა შეხვიდეთ ჩვენ საზოგადოების წევრთა რიცხვში და ჩვენთან ერთად მიიღოთ მონაწილეობა ყველა საქმეში. უნდა იკმაროთ, მაგალითად, ის, რომ გზებსა და სხვა ბევრებს გლეხ-კაცობა და მათი საქონელი აკეთებდა და თქვენ-კი არამც თუ ადამიანები, თქვენი პირუტყვი საქონელიც-კი უზრუნველად დასეირნ-დაქეიფობდით. აქამდის სოფლის ყოველგვარ მოხელე-მოსამართლეებს ჩვენ ვაცხოვრებდით ჩვენის ხარჯით და ჩვენი მამა-უფროსები თქვენი და მთავრობის მუქთი ლაქიები იყვნენ. ამიტომ ვთხოულობთ ამის შემდეგ არჩევანიც, სამსახურიც, ხარჯიც და სამართალიც ჩვენ და თქვენთვის საერთო იქნეს. აი მაშინ გიცნობთ თქვენ ნამდვილ ჩვენ ძმებად და შეგიყვარებთ ჩვენსავით.

ამ ბოლო ხანებში ბევრი თქვენგანისაგან გვესმის: ჩვენც თქვენი ძმები ვართო. ეს ჯერ ცარიელი სალოლიაო სიტყვებია. დაგვიმტკიცეთ საქმით. თუ აქამდის უფროსი ძმები იყავით, კარგად იცით, რომ სოფლის ჩვეულება-კანონით, თუ უფროსს საუფროსო ერგება, უმცროსებს საქორწილოს აძლევენ. დეე, ეს ჩვენი ზემო ჩამოთვლილი მოთხოვნილება ჩვენი საქორწილო იყოს. ასე და ამ გვარად მორიგებულთ დღეს შუა გაზაფხულს და მუშაობის დროს შევაბათ გუთანი, რომ გადავხნათ ზამთრის სიცივისაგან გაყინულ-გათოშილი კორძი-ყამირი, ჩავთესოთ თესლი ერთობის ჰირნახულისა, რომ მომავალმა ტკბილმა და ნათელმა ზაფხულმა მოგვცეს ჩვენ ყველას სანატრელი ნაყოფი საზოგადო ბედნიერ ცხოვრებისათვის.

დასასრულ, ერთი საჭიროებაც უნდა აღვნიშნოთ: უსათუოდ სოფლებში დაგზავნილი ჯარი უკანვე უნდა იქნას დაბრუნებული.

სოფ. მარტყოფი (ტფილისის მაზრა). 24 მარტს. დილის ექვს საათიდანვე სოფელს რაღაცა მოძრაობა და მღელვარება ეტყო. ხალხი იკრიფებოდა ჯგუფ-ჯგუფად და ჩურჩულებდა. ყველას სახეზე მღელვარება ეხატებოდა. ესე საათის ათი იქნებოდა, როცა ტაძრის სამრეკლოზე ასტყდა არა ჩვეულებრივი ზარის რეკვა. გაისმა თუ არა ზარის ხმა, სოფლის ყოველ კუთხიდან იწყო ხალხმა დენა სოფლის კანცელარიასთან. ნახევარ საათის განმავლობაში კანცელარიასთან შეგროვილ ხალხის რიცხვი ორი ათას სულს აღემატებოდა. ხალხში ბევრი დედაკაციც ერია. ხალხმა სოფლის მოხელენი დაითხოვა ყრილობიდან და სჯა-ბაასი იქონია თავის ჭირ-ვარამზე. ცოტა ხნის თათბირის შემდეგ ხალხმა გამოიკვლია თავისი საჭიროებანი და აღნუსხა იგი. აქვე, ამ ყრილობაზე, შეიმუშავა ხალხმა ნიხრი ყოველგვარი მღვდელ-მოქმედებისა სამღვდელოებისათვის. ყრილობაზედვე მოიწვია ხალხმა ორი მღვდელი (მესამე იმჟამად იქ არ იყო) და სამრევლო სკოლის მასწავლებელი ქალი. ხალხმა გამოუცხადა მღვდლებს ნიხრი და უთხრა, ამაზე მეტს ვერ მოგცემთ და თუ გსურთ აქ სამსახური, ამ ნიხრზე ხელი მოაწერეთო. მღვდლებმა თანხმობა გამოაცხადეს და ნიხრზედაც ხელი მოაწერეს. მასწავლებელს ყრილობამ მოსთხოვა, სკოლა დაკეტე, რადგან დღევანდელ ნიადაგზე დამყარებული სწავლა ჩვენის შვილებისათვის საჭირო არ არისო. მასწავლებელი დაემორჩილა და სკოლა დაკეტა. ამის შემდეგ ხალხიდან ზოგიერთებმა ჩალეწეს სოფლის კანცელარიის ფანჯრები და მერე გასწიეს სოფლის ქსენონისაკენ. დააკეტინეს ექიმს საავადმყოფო. შუშები აქაც ჩაამტვრიეს. აქედან ხალხი გაემართა სოფლის დუქნებისაკენ და ყველგან პატენტები და გილდები დახია. დაამტვრიეს ეგრეთვე ქვაბებზე აქციზის ბეჭდები. საათის ორზე ხალხი სახლებში დაიფანტა. საღამოზე ამავ დღეს სოფლის მამასახლისმა კზირები დაჰგზავნა სოფელში და შეატყობინა ხალხს, რომ ხვალ მარტყოფში მაზრის უფროსი მოვა და შეიკრიბენითო. მეორე დღეს, ე. ი. 25 მარტს, დილით კანცელარიასთან ზარის რეკვაზე შეიკრიბა მრავალი ხალხი. იქნებოდა ორი ათას ხუთასამდე კაცი და ქალი. მაზრის უფროსი ასე ორ საათზე მოვიდა ორის საერობო დარაჯით და სიტყვით მიმართა შეკრებილ ხალხს. ხალხმა გადასცა მას თავისი მოთხოვნილებანი. აქვე მოგვყავს ეს მოთხოვნილებანი:

1. შეიცვალოს აწ არსებული წეს-წყობილება.
2. ქართველი ერი შეიქმნეს სრული მონაწილე რუსეთის მომავალი რეფორმებისა.
3. გლეხობას დაუბრუნდეს ის მიწები და მამულები, რომელნიც ამ ცოტა ხნის განმავლობაში სახელმწიფო აგენტებმა დაიჭირეს, და რომელნიც მარტყოფის გეგმაში არის მოთავსებული. სახელდობრ: „სამგორი“ ბექაიანთი, კანდილაკეანთი და სხვა მიწები.
4. ჩვენს სამშობლოში თავისუფალი და დაუსახლებელი ადგილები მიეცეს ჩვენისავე ტომის უმიწაწყლო ხალხს.
5. სკოლაში სწავლა იყოს ქართულს ენაზედ, სავალდებულო და უფასო ყველასთვის. რუსული ენა, როგორც სახელმწიფო, იყოს ცალკე საგნად, უფროს განყოფილებაში. სკოლაში ასწავლიდნენ აგრეთვე მეურნეობას. სწავლა იყოს იმ პროგრამაზე დამყარებული, რომ სოფლის სკოლაში სწავლა დამთავრებულს ბავშვს შეეძლოს სწავლის გაგრძელება საშუალო სასწავლებელში გამოუცდელად. (ჩვენ ვგულისხმობთ, რომ საშუალო სასწავლებლებშიაც სწავლის საქმე ეროვნულ ნიადაგზედ იქნება დამყარებული).
6. მოისპოს სამღვდელოების დრამა და სხვა და სხვა რამის მირთმევა მღვდლებისათვის. დაარსდეს, ხალხის მიერვე, ნიხრი ყოველგვარ მღვდელ მოქმედებისა. მღვდლები დააკმაყოფილოს ჯამაკირით მთავრობამ.
7. თანასწორად იხდიდეს ყოველგვარ მიწის ხარჯს და მონაწილეობას იღებდეს სასოფლო საქმის გაკეთებაში ყოველი კაცი, წოდების და ხარისხის მიუხედავად.
8. სალდათების სავალდებულო სამსახური შემცირდეს ორ წლამდის. ჩვენი სალდათები სამსახურისათვის არ იგზავნებოდნენ უცხო მხარეში, არამედ მსახურებდნენ ჩვენს სამშობლო მხარეში.
9. მოისპოს ყოველგვარი სახელმწიფო ბეგარა.
10. მოისპოს აქციზი, შემცირდეს პატენტების და გილდების გადასახადი.
11. შემცირდეს პოლიციის უფლებანი; მოისპოს არსებული საერობო დარაჯი.
12. თანასწორობა კანონის წინაშე ყოველის წოდების და ხარისხისა.
13. სამართალი იყოს დედა-ენაზე და უთარჯიმანოდ.
15. დაგვიბრუნდეს ჩვენი მალაზიის ფული, რომლითაც დაარსდეს ჩვენი სასოფლო კასსა.
15. მთავრობამ დაგვიაროს ქსენონი თავის ხარჯით.
16. მოისპოს მირაბის თანამდებობა.
17. მოისპოს ბაშფორთები (პასპორტი).
18. ნება მიეცეს ჩვენს საზოგადოებას იარაღის ტარებისა თავის დასაცავად ქალაქებს გარეშე.
19. გლეხებს უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ დაუბრკოლებლივ და უბაჟოდ იმ ტყით, რომელიც არის მარტყოფის გეგმაში; ტყეს განაგებდნენ თვით გლეხები.
20. გლეხობას ეჩუქოს ნედოიმკები, რომელიც არის შემდგარი მოუსავლობის, საქონლის სენისა და სხვა უბედურ შემთხვევების გამო.
21. გლეხებს სრული უფლება ჰქონდეთ თითონვე აზღვევინონ ფული იმ პირთ, რომელნიც გაფლანგავენ საზოგადოების ფულს.
22. რადგან მარტყოფის საზოგადოების მცხოვრებთ ხშირად სძარცავენ და ქურდავენ ყარაიაზის ნაწილის და ორივე მუღანლოს თათრები, ამისათვის მარტყოფის ხალხს სრული უფლება ჰქონდეს თვითონვე, სასამართლოს გადაუწყვეტლად, აზღვევინოს თათრებს თავისი დანაკარგი, თუ დაკარგულის კვალი იმათ საზღვრაზედ მიიტანა.
23. მოისპოს ყოველგვარი გადასახადი გასასყიდ საქონელზე ქალაქ ტფილისში (რიყეზე).
24. მოისპოს ორ პროცენტიანი გადასახადი დუქნებიდან და სახელოსნოებიდან, რადგან იხდიან დაწესებულს მიწის ხარჯს.
25. გაუქმდეს გუბერნატორის მიერ დამტკიცებული ნიხრი მამულის წანახედის ზღვევისა. წანახედს აზღვევინებდენ ორის მცოდნე კაცის გარდაწყვეტით და დაფასებით.
26. სიტყვისა, ბეჭდვისა და კრებების თავისუფლება.

დროებით მარტყოფელი

სოფ. დიდი გომარეთი (თრიალეთი). 27 მარტს დიდ გომარეთში დღესასწაული იყო. ამ ბოლოს დროს გომარეთის საზოგადოების გლეხები ემზადებოდნენ ამ დღისთვის. იკრიფებოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ცხარედ კამათობდნენ თავიანთ გაჭირვება-საჭიროებათა შესახებ. უკანასკნელად ხარებობას, 25 მარტს, ჰქონდათ კერძო კრება, სადაც წერილობით აღნიშნეს თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობა და ამისდაკვალად შეიმუშავეს რამდენიმე მუხლი მოთხოვნილებათა, ხელი მოაწერეს ქაღალდს, რომ ერთობით იმოქმედონ და არ უღალატონ ერთმანეთს. ამავე კრებაზე გადასწყვიტეს, მესამე დღეს, კვირას, შეკრებილიყო კომლზე კაცი როგორც დიდ-გომარეთისა, ისე პატარა გომარეთისა, აზისა, მამულაანთ სოფლისა, კაკლიანისა, ერკუშაანთ სოფლისა და დემურბულახისა. კვირას შეიკრიბა კიდეც 600—700 მდე გლეხი. მათ შორის იყვნენ სომხები, თათრები და ბერძნებიც. სულ ყველას სახეზე სიხარული ეტყობოდა, გეგონებოდათ, დღესვე უნდათ გადააგდონ კისრიდან საუკუნოებით დადებული მძიმე უღელიო. ჩვეულებრივ „გამარჯობას“ მაგიერ ერთმანეთს მიმართავდნენ „გაუმარჯოს ერთობასაო“. კარგა ხანი ილაპარაკეს და შემდეგ მოითხოვეს შემოსილი მღვდელი. ხალხის მოთხოვნილებით მღვდელმა დააფიცა ხალხი. შეჰფიცეს ერთმანერთს ძმობა, ერთობა და თავდადება საზოგადო საქმეში. ფიცის შემდეგ დაიწყეს მსჯელობა ჯერ მემამულეებზე. აქაური დიდი მემამულენი თან და თან უმატებენ გადასახადს იმ მიწებზედ, რომელთაც წინად გლეხები ფლობდნენ. სახაზინო ტყიდანაც არ შეეძლოთ გლეხებს ერთი ფიჩხის მოჭრა. ამას წინად დეპეშაც გაუგზავნეს სახელმწიფო ქონებათა გამგეობას, საქონელი შიმშილით გვეხოცება და ნეკერის მოჭრის ნება მაინც მოგვეცითო, მაგრამ წმიდა „ატკაზი“ მოვიდა. გარდა ამისა მთავრობამ დაასახლა ახლო-მახლო გერმანელები (ახალშენები: ალექსანდერსგილფი, ეკატერინენფელდი, ელიზაბეტალდი და სხვა), რომელთაც დაისაკუთრეს იალაღები, საძოვარ-საბალახო ადგილები და ყველის ქარხნები წამოჭიმეს, გზა შეუკრეს გლეხებს და ფეხს არ ადგმევინებენ. თუ საქონელი გავიდა იმათ ადგილებში, დაიჭერენ და ვიდრე სულზე თითო მანეთს არ გადაახდევინებენ, არ უბრუნებენ პატრონებს. წყალი რა არის, წყლითაც არ შეეძლოთ უფასოდ ესარგებლათ წისქვილებისათვის. ამ უსამართლობაზედ ბევრჯერ უჩივლიათ მთავრობის წინაშე. მაგრამ არაფერი გამოსულა. აღნიშნეს აგრეთვე მღვდლების სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადების სიმძიმე და სხვა. ამის შემდეგ იგრიალა ხალხმა: „გაუმარჯოს ერთობასაო“ და დროშით გაემართა სოფლის კანცელარიისაკენ დაფა-ზურნით და სიმღერით. მამასახლისმა, ნაცვალმა და მოსამართლეებმა თავიანთი ნიშნები გადასცეს ხალხს. შემდეგ იმავე წესით გაემართნენ ბერძნების სოფელ დემურბულაღისაკენ.

აქვე ვბეჭდავთ გლეხთა მოთხოვნილებებს:

1. მოისპოს დროებით-ვალდებულება და ხიზნობა გლეხთა, მათი „ნადელები“ უსასყიდლოდ მათ სრულ საკუთრებად გამოცხადდეს.
2. ყველა გლეხს დაუბრუნდეს ის მიწა-ადგილები, რომელიც მას ჩამოაცალეს ბატონ-ყმობის გაუქმების დროს (ტყე, საბალახო, წყალი და სხვა).
3. სახაზინო და საეკკლესიო გლეხებს მიეცეთ საკუთრებად ის სახაზინო და საეკკლესიო ადგილები, რომლითაც ისინი დღეს სარგებლობენ.
4. მიწის ღალა არ იღემატებოდეს მთელის მოსავლის მეათედს; მემამულემ თავისი წილი თავისი ხარჯით უნდა წაიღოს.
5. დაუბრუნდეს გლეხებს ის ფული, რომელიც გადაიხადეს მათ თავის დახსნის ან სხვა ხარჯების გადახდისათვის; ეს ფული გადახდეს საუფლისწულო და საეკკლესო მამულებს, აგრეთვე იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ამ გადასახადით ისარგებლეს; ყველა ამ ფულით უნდა დაარსდეს ცალკე ფონდი, სოფლის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად (სკოლების, საავადმყოფოსა, გზებისა და სხვა).
6. ამავე ფონდის მისამატებლად გლეხებს დაუბრუნდეს სამალაზიო გადასახადი თავის სარგებლით.
7. მოისპოს ყოველგვარი ბეგარა მემამულეთა სასარგებლოდ, როგორც, მაგალითად, ძღვნის მიტანა, გუთნით, ხარ-ურმით, მუშა ხელის მოხმარებით.
8. ეკკლესიის ყარაულობა დაევალოს თვით ეკკლესიას, გზების კეთება—ყველა წოდებას.
9. მოისპოს დრამის ფული და სხვა ყოველგვარი გადასახადი მღვდლის სასარგებლოდ, ეკკლესიის ხარჯები იმან გასწიოს, ვისაც სურს.
10. მოისპოს ბაჟები არაყსა, სპიჩკასა, ნავთსა, ერთის სიტყვით, ყველა არა პირდაპირი გადასა-

---

*) ქვემოდ აღნიშნული და სხვა მოთხოვნილებანი უნდა გადაეცათ მთავრობის წარმომადგენელისთვის, მაგრამ იგი ჭალის საზოგადოებაში აღარ ჩასულა. აქ ჩამოთვლილია მხოლოდ ის მოთხოვნილებანი, რომელნიც თავად-აზნაურობას შეეხება.

ხადი და მათ მაგიერ დაწესდეს შემოსავლის დაკვალად გადასახადი, ხოლო ვისაც შემოსავალი 500 მანეთზე ნაკლები აქვს, სრულიად განთავისუფლებულ იქმნას გადასახადისაგან.

11. სახელმწიფო ტყეები და სახნავი მიწები გადაეცეს გლეხთა საზოგადოებას თავის სასარგებლოდ საწარმოებლად.

12. წოდებათა გაუქმება და ფართო თვითმმართველობა როგორც სოფლის, ისე მაზრისა, თვით ხალხი უნდა ირჩევდეს თავის მოსამართლეთ და მმართველთ და უვლიდეს თავისსავე საქმეებს.

13. დაწესდეს უფასო სავალდებულო პირველდაწყებითი განათლება ორივე სქესის ბავშვებისათვის 16 წლამდე დედა-ენაზედ.

14. თავისუფალი ამორჩევა მსაჯულებისა, როგორც გაჭირვებულ და ღატაკ გლეხებისა, ისე მდიდარ გლეხებისა და მემამულეთა მხრივ.

15. თავისუფლად არჩეული საგლეხო კომიტეტები.

16. აუცილებლად თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, ბეჭდვისა, გაფიცვისა და კავშირისა; მთავრობა, ხალხის სურვილების გამომხატველი.

17. ასეთის წყობილების დაფუძნება შეუძლიან მხოლოდ ხალხის მიერ საყოველთაო პირდაპირ, თანასწორ და ფარულის კენჭის ყრით არჩეულ პირებს, დამფუძნებელ კრებას. **აპოლონ.**

სკოლა, ქართველები და ქართული ენა.

სკოლა აფხაზეთში

1864 წლიდან სოხუმში არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი, მთიულთა (აფხაზთა) ბავშთათვის გახსნილი. ამ სკოლას, როგორც სხვა ყველა სკოლებს სოხუმის ოლქში, აზრადა აქვს **გარუსება** მოწაფეებისა. ათასში ერთხელ გიმნაზიაშიაც გავზავნის ხოლმე მთავრობა სახელმწიფო ხარჯით აქ კურს-გათავებულს. მაგრამ არ გეგონოთ, სადმე მახლობელ ქალაქის გიმნაზიაში გზავნიდეს, აი, თუნდ ქუთაისისაში, სადაც მშობელს გაჭირვების დროს უფრო ადვილად და უფრო იაფად შეუძლია ჩასვლა შვილის სანახავად. თქვენგან არ მიკვირს! ბიუროკრატია რაღა ბიუროკრატია იქნება, თუ ჩვენებურ მშობელთა და მოსწავლეთა ინტერესს პატივი სცა და ისე იმოქმედა!.. ბიუროკრატიამ იცის, რომ ქუთაისი ქართველთა ქალაქია; იცის, რომ სოხუმიდან გამოგზავნილი ბავშვი ქართველ საზოგადოებაში დატრიალდება, ქართულს ადვილად ისწავლის და ქართული ტენდენციებიც განუვითარდება. ასეთის „უხერხულობის" ასაცილებლად მთავრობამ რამდენიმე სტიპენდია დაარსა სოხუმის ოლქის ბავშვთათვის სტავროპოლის გიმნაზიაში. გზავნიან ბავშვს სამშობლოდან შორს, უცხო მხარეში, უცხო ხალხში, რომ ყოველი მშობლიური გრძნობა გულიდან ამოჰგლიჯონ, ნაცნობ სამშობლო სურათებს მოაშორონ, დედა-ენა დაავიწყონ და მხოლოდ რუსული ენა ასწავლონ, ყოველივე ამისთვის შესცვალებინონ. ბავშვი ფიზიკურად და გონებრივად განვითარების მაგიერ ხორციელად იჩაგრება, ნაღვლიანდება, ბოროტდება, გონებრივად ჩლუნგდება, სძულდება სასწავლებლის საგნები, გაუგებარ და უცნობ ენაზე რომ უნდა ასწავლონ; სძულდება მასწავლებელნი, რომელნიც არა სცდილობენ მისს დაჩაგრულ გულში ჩაიხედონ; სძულდება თვით სასწავლებელი და სცდილობს ყოველსავე ამას თავი მალე, სწავლის დამთავრებამდე დაანებოს. თუ არა ამ გონებრივ და ხორციელ დამახინჯების სისტემით სხვა ვერაფრით აიხსნება ის სამწუხარო ფაქტი, რომ დღემდე ამ ნიჭიერ ხალხის, როგორიც აფხაზები არიან, შვილთაგან უმაღლესი სასწავლებელი **არავის გაუთავებია.**

სამწუხაროა, რომ აფხაზები, რუსის ბიუროკრატიის სატრფიალო სისტემის წყალობით, გონებრივად გადაშენების გზას ადგანან და ჯერ-ჯერობით სრულს ინდეფერენტიზმს იჩენენ ეროვნული დამოუკიდებლობის საქმეში. გარუსების პოლიტიკამ იმდენი მოასწრო, რომ ეს ხალხი სრულიად ჩამოაშორა თავისს მეზობლებს ქართველებს; ამ პოლიტიკამ უკულმართის აღზრდის წყალობით იმდენად დაამახინჯა ეს ხალხი გონებრივად, რომ დაავიწყდა, რომ თუ კი საერთო ვისთანმე უნდა ჰქონდეს აფხაზის ხალხსა, ისევ მეზობლებთან, ისევ ქართველებთან, რომელთანაც ისტორიულად დაკავშირებულნი არიან და მათის სამშობლოის გეოგრაფიული მდებარეობაც ისეთია, რომ ქართველებს იქით ამ ხალხს ხსნა არა აქვს.

დღეს-კი აფხაზეთის ხალხს, ქართველებთან ერთობა არაფერი არა აქვს. ამ შემთხვევაში მწერლობა უნდა გაიდოს ხოლმე შუაში შემაერთებელ გზად და ხიდად მეზობლებს. სავალალოდ, ეს შემაერთებელი გზა და ხიდი ჩვენსა და აფხაზებს შორის არ არსებობს. არ არსებობს იმიტომ, რომ ქართული ენა აქაურ სკოლებიდან განდევნილია. ქართული გაზეთის ნაცვლად სხვა-და-სხვა ოინებით და ხრიკებით ავრცელებდნენ ბათუმელ ჯამბაზის გაზეთს, რომელიც ქართველობას და მისს კულტურას ამცირებდა თავის მკითხველთა თვალში და გარდა ამისა აფხაზებს აგონებდა, ქართველები (მეგრელები) თქვენი მტრები არიან, აქ მოდიან, თქვენს მიწებს იჩემებენო და სხ.-და-სხ. შეგნებული მკითხველი უნდოდა, რომ ამ გაზეთის გამოგონილ ჭორებისათვის ყურადღება არ მიექცია.

უფრორე სამწუხაროა, რომ ხსენებულ სასწავლებელში აფხაზთა გარდა სამურზაყანოელნიცა სწავლობენ. თუ აფხაზთა ნათესაობა ქართველებთან საეჭვოა, იგივე არ ითქმის სამურზაყანოელთა შესახებ. მათი ნათესაობა ქართველებთან (მეგრელებთან) ყოველს ეჭვს გარეშეა. სასაცილოც იქნებოდა ამისი მტკიცება. ეს იმას ემგვანებოდა, ვისმე რომ დაეწყო მტკიცება—ორი და ორი ოთხიაო!.. ეს ჭეშმარიტება არა სწამთ მხოლოდ იმათ, ვინც მიმდევარია სიტყვების Divide et impera; არა სწამთ მხოლოდ ბიუროკრატიას და მის ღირსეულ აგენტებს, რომელნიც იმასა სცდილობენ, ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა პროვინციების მცხოვრებნი ერთი მეორეს ჩამოაშორონ, ერთიმეორეს გადაჰკიდონ, გულში ერთი მეორის მტრობა ჩაუნერგონ, რომ ასეთის განცალკევების შემდეგ უფრო ადვილად გაბატონდნენ მათზე. იგი უარჰყოფს ყოველს ისტორიულს, ეტნოგრაფიულ და ლინგვისტურ საბუთებს, რომელნიც აშკარად ამტკიცებენ სამურზაყანოელთა მეგრულ ჩამომავლობას და, მაშასადამე, მათს ნათესაობას ქართველებთან. ერთის მხრივ ამ ნათესაობას უარჰყოფს და მეორეს მხრივ სამურზაყანოელთ აფხაზებს უნათესავებს და თანაც გაიძახის, რაკი სამურზაყანოელნი მეგრელები კი არა, აფხაზები არიან (აფხაზები არიანო იმ სამურზაყანოელთა შესახებ ამბობენ, რომელნიც შინაობაში მხოლოდ მეგრულს ლაპარაკობენ და აფხაზურისა არაფერი ესმისთ) მათთვის ქართული ენაც საჭირო არ არისო; რაკი სამურზაყანოელნი აფხაზები არიან და აფხაზებს კი საკუთარი მწერლობა არა აქვთ, სამურზაყანოელებმა ისევ რუსული ენა ისწავლონო. „ასწავლიან" კიდეც რუსულს ენას.

ოღონდაც სავალალოა, რომ ჩვენის მწერლობით ველარ სარგებლობენ ჩვენის ქვეყნის მივარდნილ კუთხის მცხოვრებნი. ადგილობრივი მთავრობა რომ არ აბრკოლებდეს ქართულ წერა-კითხვის გავრცელებას, საქართველოს ამ პროვინციაში, სადაც ქართული ლაპარაკი, როგორც ქართველთა მონათესავეთ, თითქმის ყველას ემარჯვება, ქართული წერა-კითხვა ადვილად გავრცელდებოდა და ქართული მწერლობა შეძლებისა დაგვარად საგრძნობელ სამსახურს გაგვიწევდა ამ მხრის გონებრივად ამაღლების საქმეში. თორემ ახლა სამურზაყანოელთ სამშობლო (ქართულ) ენაზედაც უშლიან გონების განვითარებას და ველარც რუსულ ენაზე ანათლებენ. და არამც თუ ვერ ანათლებენ, არსებულ მახინჯ მუნჯურის სისტემის წყალობით სოფლელთ აძულებენ სკოლას და მწიგნობრობას, გონებრივად ამახინჯებენ, ზნეობრივად აქვეითებენ, ქართველობას აშორებენ, გადაშენების გზაზე აყენებენ... **სოხუმელი**

ტფილისის თავად-აზნაურთა შორის

გუშინ, 31 მარტს, თავ. ქობულაშვილის სადგომში შეიკრიბა ტფილისის თავად-აზნაურობა საგანგებო კრებაზე, რომელიც გახსნა გუბერნიის წინამძღოლის მაგიერმა, თავ. ა. ჯამბაკურ-ორბელიანმა.

თავმჯდომარემ ორი საგანი დაასახელა კრების საყურადღებოდ: 1) უნდა შემუშავდეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან ხელმწიფე იმპერატორის სახელობაზე უქვეშევრდომილესი ადრესი და 2) აირჩეს კომისია, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ტფილისის გუბერნიაში ქართველ გლეხთა შორის მოძრაობის მიზეზები.

პირველ საკითხის შესახებ ბევრი სხვა და სხვა აზრი წარმოითქვა, ამიტომ თავმჯდომარემ საუკეთესოდა სცნო, კრება მეორე დღისათვის გადაედო და თავად-აზნაურთ ურჩია, კერძოთ მოილაპარაკეთ ზემო-მოყვანილ ორ საკითხზე, შეთანხმებული აზრი შეიმუშავეთ და მომზადებულად შეიკრიბოთ შემდეგ კრებაზედაო.

კრება დაიხურა და საზოგადოება დარჩა სათათბიროდ. ამ კერძო კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა მ. ვ. მაჩაბელი, რომელმაც სთხოვა საზოგადოებას, დამეხმარენით ჩემი მოვალეობა ისე ავასრულო, როგორც თქვენ სურვილს შეეფერება: მეტად საყურადღებო საგანზე გვექნება სჯა-ბაასი და ამიტომ გთხოვთ პარადობის გარეშე ილაპარაკეთ, საგანი ნათლად გამოარკვიეთ და ამ მხრივ ყველას, თავისუფლად შეუძლია თავის აზრის გამოთქმაო.

თავიდან ის აზრი გამოთქვეს ორატორებმა, რომ დღეს ადრესებისა და პეტიციის დრო აღარ არის. დღეს ის დრო დადგა, როცა პირდაპირ უნდა ვითხოვოთ ის, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ხალხის არსებობისათვის. ამ მოთხოვნილებაში სწორედ იგივე უნდა იყოს გამოცხადებული, რასაც დღევანდელი საუკეთესო ნაწილი მთელის რუსეთისა თხოულობსო.

სხვები ამტკიცებდნენ, ადრესი უთუოდ უნდა გაიგზავნოს და ამ ადრესში პირდაპირ და ნათლად გამოცხადებული უნდა იყოს ტფილისის თავად-აზნაურთა დღევანდელი სურვილი. ქართველ თავად-აზნაურთა დღევანდელი აზრი კი სრულებით არ ეწინააღმდეგება რუსეთის საუკეთესო საზოგადოებისას და ესენიც იმას თხოულობენ, რასაც ისინი, ე. ი. ქართველებს ისეთივე უფლებები მიენიჭოთ, როგორიც რუსებს შიდა გუბერნიებშიო. ამისათვის ადრესიც ამ სახით უნდა იქმნეს შემუშავებული ეს ადრესი ერთის და იმავე დროს ხელმწიფესაც უნდა გაეგზავნოს, რომ თვითონ წაიკითხოს ჩვენი აზრი, და მეორეც მინისტრთა საბჭოსაო. ამ ადრესში საერთო საჭიროებასთან ჩვენიც უნდა იქმნეს გამოცხადებული—სამშობლო ენის ყოველ მხრივი განვითარებაო.

როცა ამ გვარად გამოირკვა, რომ ადრესი უთუოდ უნდა წარუდგინოს თავად-აზნაურობამ, კრება მერე შეუდგა იმის გამოკვლევას, თუ როგორი უნდა იქმნეს ეს ადრესი, რა შეღავათები უნდა ვითხოვოთო. უმეტესი ნაწილი იმ აზრისა იყო, რომ საქართველოს სრული ავტონომია უნდა გამოვითხოვოთო; დიდი უმცირესობა-კი ამბობდა, საკმარისი იქნება ქართველებს რუსეთის საერთო კრებაში მონაწილეობა მისცემენო.

კრებამ დაადგინა: ადრესში უთუოდ შევიტანოთ საქართველოს სრული ავტონომიის მოთხოვნაო და ამისათვის კომისია აირჩიეს და დაავალეს დღევანდელ კრებას წარმოუდგინოს შემუშავებული ადრესი. აირჩიეს: თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, მ. ა. გედევანიშვილი, გ. რცხილაძე, გ. რ. ციციანი, მ. ვ. მაჩაბელი და ალ. ყანჩელი.

ახალი ამბავი

◆ **ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს** თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს ახალი განცხადება გამოუცია. ეს განცხადება ადგილობრივ ყველგან არის გაკრული. განცხადებაში მოხსენებულია, რად მიიღო მთავრობამ სასტიკი ზომები ქუთაისის გუბერნიაში საზოგადოდ, კინტრიშის საბოქაულოში, ქუთაისს, ბათუმსა და ფოთს. „მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის ასე ჩქარა გავრცელების ერთად ერთი განსაკუთრებული მიზეზი ის, ყოველ შეგნებულ კაცის აღმაშფოთებელი, ძალმომრეობა, მკვლელობა და ცეცხლის წაკიდებაა, რომელსაც ხმარობენ ბოროტ-მოქმედების რამდენიმე ხელმძღვანელი და მომხრე ამ მოძრაობის გულგრილად მაყურებელთა და არ თანამგრძნობთა უმრავლესობის შესაშინებლად. მოძრაობის ხელმძღვანელებმა მართლაც მოახერხეს და ძალა დაატანეს იმ ხალხს, რომელნიც მათ არ თანაუგრძნობენ, მონაწილეობა მიეღო ისეთს ბოროტ-მოქმედებაში, რომელში გარევაც აუცილებლად სახიზღარია ყოველის პატიოსანის ბუნების მქონე კაცისთვის... მშვიდნო მცხოვრებნო, თქვენ გატყუებენ ეკონომიურ კეთილ-დღეობის დაპირებით, რაიც სრულიად მიუწდომელია, გაღებინებენ მონაწილეობას ავაზაკურს საქმეებში რუსის მთავრობისა და იმის აგენტების წინააღმდეგ, ხშირად თვით განზე რჩებიან ეს მქადაგებელნი და მეთაურები და თქვენ კი თავს გახვევენ საშინელს პასუხის გებას კანონისა და სამხედრო სამართლის წინაშე... მტკიცედ დაიმედებული ვარ თქვენზე და თქვენს ძალაზე და ღრმად დარწმუნებული, რომ ნათლად ხედავთ საშინელს ვნებას, რომელიც თქვენა და თქვენს შვილებს უდიდეს უბედურებას უქადით... შემაძლებინეთ მსხვერპლ შეუწირავად შევასრულო უმაღლესი ბრძანება, თქვენის მშობელ ქვეყნის დამშვიდებასა და კანონიერ მმართველობის აღდგენის საქმეში... მოვალეობად ვრაცხ ერთხელ კიდევ მოგაგონოთ, რომ მხოლოდ ამ პირობებით შეიძლება იმ სამწუხარო შემთხვევებისა და უბედურების თავიდან აცდენა, რაც აუცილებლად უნდა მოჰყვეს მკაცრ ზომებს, რომელსაც იძულებული გავხდები მივმართო, უკეთუ ვერ მოვიპოვებ თქვენგან საჭირო დახმარებას. ამ ზომებისაგან, სამწუხაროდ, დიდი განსაცდელი დაადგება თვით კეთილ საიმედო პირთაც..."

◆ „ტიფ. ლისტ."-ში დაბეჭდილია სამტრედიიდან გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა: „30 მარტს, საღამოს 7 საათზე, სადგურ სამტრედიაში ერთმა მისულმა კაცმა **ყაზახ-რუსებთან ერთად** სრულიად უმიზეზოდ სცემა მემანქანეს ცინცაძეს და მატარებლის № 150 ქვეშ შეაგდო. ასეთ პირობებში შეუძლებელია სამსახური. ვთხოვთ ჩვენ მთავრობას დაგვიცვას ასეთ უკანონო მოქმედებისაგან და დასაჯოს დამნაშავენი. სამტრედიის დეპოს ყველა მემანქანენი".

◆ ახლად დაარსებულ **ბეჭდვით საქმის მოღვაწეთა** საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ვ. დ. ყორღანოვი, მდივნად—ფ. ე. მახარაძე, ხაზინადრად—რ. ა. იოანესიანი. სადგომი გამგეობას ერთის წლით უსასყიდლოდ დაუთმო ბ-ნმა ყორღანოვმა (ავჭალის ქუჩა, ტურგენევის კუთხე, № 28). იმანვე დაუქირავა თავის ხარჯით მწერალი. ამას გარდა არჩეულ იქნა კომისია წესდების შესასწორებლად. კომისიაში მოჰყვნენ: გ. ა. ჯაბადარი, ფ. ე. მახარაძე და ფ. გ. გოგიჩაიშვილი.

◆ ქალაქში ხმა დადის, რომ **ჭიათურაში ადგილობრივი ადმინისტრაცია** უკვე შესდგომია მცხოვრებთა დარბევას, რადგან ნება ყოფლობით არ უკისრიათ შეწერილ სამას თუმნის გადახდა. ორასი თუმანიც ჭიათურის მახლობელ მუქრუთსა და რგანზეა მიწერილი. სულ ხუთასი თუმანი უნდა აიღონ.

◆ უცნაური ამბები ხდება ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ზოგიერთ მოხელეთა შორის.** მკითხველებმა უკვე იციან, რომ კანტორასთან არსებულ შემნახველ-გამსესხებელ კასაში კარგა ბლომა ფული გაიფლანგა. ფულის გაფლანგვა ჰბრალდება ბ-ნ პ. რომელიც, როგორც ეტყობა, ვერ არჩევდა ერთი მეორისაგან სხვის და თავის ქონებას. მაგრამ დამნაშავე მარტო პ. არ არის, დამნაშავეა უმთავრესად აწ არსებული რეჟიმი, რომელიც ყველას და ყველაფერს კრიჭას უკრავდა. რევიზიამ აღმოაჩინა ის, რაც უკანასკნელ წელს გაიფლანგა, ბ-ნი პ. კი 10 წელზე მეტ ხანს იყო კასირად. ეხლა, როდესაც ხმამ პეტერბურგამდე მიაღწია, უთუოდ მოუხერხებელია წინა წლების რევიზია, რადგან შეიძლება გამართლდეს ქართული ანდაზა: „კატამ თხარა, თხარა და თაგვი-კი გამოთხარაო". კასის წევრებს შორის ხომ კანტორის უფროსისა და ოლქის უფროსის თანაშემწენიც იყვნენ... ძველ ცოდვების დასაფარავად, ამბობენ, კასის საქმების ლიკვიდაცია უნდა მოხდესო. მერე ახალ სუფთა დავთრებით კასსა ისევ დაიწყებს მოქმედებას. ერთის სიტყვით, ჩქარობენ ყოველივე კვალი წაშალონ. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ კასის წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგობას გაუწევს ასეთს განზრახვას და მხნედ მოითხოვს ყველაფერის გამორკვევას.

◆ ერთმა წრემ ტფილისის ინტელიგენციისამ დაადგინა გამართოს **საჯარო ლექციები** იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე უნდა მოეწყოს საყოველთაო, პირდაპირი, ფარული და თანასწორი საარჩევნო უფლება.

◆ 30 მარტს **გაძარცვეს ქართლ-კახეთის საეპარქიო სანთლის** ქარხნის მაღაზია ოლგას ქუჩაზე. საღამოს 9 საათზე, როცა მაღაზიას ჰკეტავდა მსახური ნიკოლოზ დუჩიძე, მასთან შევიდა სამი უცნობი კაცი და სთქვა, სანთელი გვინდა რამდენიმე გირვანქა და მოგვყიდეო. რადგან მაღაზიის წინა განყოფილებაში ბნელოდა, დუჩიძე გასულა მეორე ოთახში ლამპის გამოსატანად. უცნობებს უსარგებლნიათ ამით, მაღაზიის კარები მოუკეტიათ, ლამპით ხელში მომავალ დუჩიძისათვის რევოლვერი დაუმიზნებიათ. შემდეგ უცნობთ ცხვირსახოცით დუჩიძისათვის პირი შეუკრავთ და მოუთხოვნიათ ფული. ერთი შესდგომია დუჩიძის ჯიბეების ჩხრეკას და 1075 მან. 56 კაპ. აულია, შემდეგ ამოუღია კასიდან 60 მან., მერე ხელ-ფეხი შეუკრავთ დუჩიძისათვის, ქუჩაში გამოსულან და დამალულან. დუჩიძემ პოლიციას ეს ამბავი იმ საღამოსვე აცნობა, მაგრამ გვიანღა იყო.

◆ გუშინ დურგალთა კრების ანგარიშში შეცდომა შეგვეპარა. ნათქვამი იყო, დურგლებმა ამ კრებაზედ ყველა საკითხის განხილვა ვერ მოასწრესო. კრებამ დაამთავრა საქმე და განსახორციელებლად აარჩია 15 კაცისაგან შემდგარი კომისია.

◆ როგორც „ინვალიდ"-შია გამოცხადებული, მუკდენის ბრძოლის დროს დაჭრილა პორუჩიკი მიხეილ ვასილის ძე ჩოჩიკაშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ საპროფესიონალო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის უფროსად დანიშნა ქ-ნი მ. ს. წურინოვისა.

◆ რადგან ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში მოსწავლეთა მოძრაობა და აღელვება არ შეწყდა, საპედაგოგიო საბჭომ დაადგინა, უკანასკნელ კლასს გარდა ყველა კლასებში შესწყვიტოს სწავლა მომავალ სამოსწავლო წლამდე. უმცროს კლასებში სწავლება შესწყდება დღეს, 1 აპრილიდან, ხოლო უკანასკნელ კლასში გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 25 აპრილს და გაგრძელდება 10 მაისამდე. პრაქტიკული მუშაობა უფროს კლასში გაგრძელდება 10 ივნისამდე. საპედაგოგიო საბჭოს გადაწყვეტილება ამ დღეებში განსახილველად წარედგინება ტფილისის ქალაქის საბჭოს.

◆ გუშინ, 31 მარტს, ტფილისის ქალაქის მოურავს წარუდგნენ ტფილისის ქალაქის ქუჩების ფარნების ამთები მუშები. 64 კაცამდე, და სთხოვეს, ჯამაგირები მოემატოთ. მოურავმა აუხსნა რომ საბჭოს გადაწყვეტილებით, 18 მ.ნ. დაენიშნათ.

◆ პოლიციის მე-4 ნაწილში ერევნის მოედანზე მოვაჭრე როტინოვის მაღაზიაში 30 მარტს შევიდა ვიღაც უცნობი ქალი. ქალმა ვერ გამოარჩია ტანისამოსისთვის საქონელი თუ განძრახ მოიქცა ასე, მიატოვა მაღაზია და გამოვიდა გარედ. ნოქრებმა შენიშნეს, რომ ორი ნაჭერი მატერიისა დაიკარგა. ეჭვი აიღეს ქალზე, გამოუდგნენ და პოლიციაში წაიყვანეს. იქ გაჩხრეკის დროს ქალს აღმოაჩნდა მოპარული ნაჭრები მატერიისა, ერთი იღლიის ქვეშ და მეორე კაბაზე დაკერებულ დიდ ჯიბეში. ქალი აღმოჩნდა პელაგია ტრეგუბენკო. ქალს აღმოაჩნდა სახლში 17 ნაჭერი სხვა-და-სხვა მატერიისა. როგორც სჩანს, ქალს ესენიც ქურდობით ჰქონია შეძენილი და ამის გამო დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს 30 მარტს სურამის მოქალაქე ილია ნებიერიძე, რომელზედაც პოლიციას ეჭვი აქვს, რომ საკანდიტეროს პატრონის არტემ ალიხანოვის მოკვლაში მონაწილე უნდა იყოსო. ნებიერიძე მეტეხის ციხეში დააპატიმრეს.

◆ კვირას, 3 აპრილს, დანიშნულია საზოგადო კრება ტფილისის დურგალთა არტელისა. ეს მესამედ ინიშნება კრება.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ როგორც „მშაკ" ატყობინებს, 28 მარტს, ქუთაისის სომეხთა ეკკლესიის საკუთარს შენობას თეატრის ზალაში სომეხ-სცენის მოყვარეთ გამართეს წარმოდგენა ჩხარში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოდგენაზე იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ნემსი არ ჩავარდებოდა. წარმოადგინეს 3 ვოდევილი. წარმოდგენის შემდეგ იმღერეს არქიმანდრიტის კომიტას მიერ ნოტებზე გადაღებული სიმღერები.

◆ აქაურს სათავად-აზნაურო გიმნაზიაში მეცადინეობენ. თვით მოწაფეებმა მოისურვეს მეცადინეობის განგრძობა. მოწაფეთა სრული კომპლექტი არ დადის, მაგრამ ეს თვით ამ გიმნაზიის უფროსის საქმეა: შორე სოფლებიდან არ გამოუხმიათ უმაწვილები, რადგან მალე აღდგომის უქმეები დადგება. ნააღდგომევისათვის კი იმედი აქვთ, რომ სწავლა წესიერ კალაპოტში ჩადგეს.

რუსული პრესა და ჩვენ

ახირებული ბედი გვჭირს ქართველებს, ერთის მხრივ მაინც: ას წლიწადზე მეტია რუსეთის სახელმწიფოს ვეკუთვნით, იმდენა ხანი მონაწილე ვართ რუსეთის იმპერიის ბედნიერების (?) თუ უბედურებისა, ვეწევით არასუბუქ უღელს რუსეთის ქვეშევრდომისას და დღემდე ვინ ან რა ვართ, არ იცის რუსის საზოგადოებამ.

რასაკვირველია, ეს ჩვენი ბრალიც არის: კარჩაკეტილი ხალხი ვართ მეტ წილად, მაგრამ ამ ბოლოს დროს ცოტა გამოვცოცხლდით: ხალხის მოძრაობის მიზეზით ავლაპარაკდით, სხვებიც ავალაპარაკეთ; საყურადღებო წერილები და მოხსენებები დაიბეჭდა რუსის საზოგადოებაში დიდათ გავრცელებულ გაზეთებში; პეტერბურგშიაც წავიდნენ ზოგ-ზოგი, ლაპარაკი ჰქონდათ წარჩინებულ და არა წარჩინებულ პირებთან, აგრეთვე ჟურნალისტებთანაც. მაინც არა გამოვიდა რა.

მკითხველს ეცოდინება, რომ რუსული გაზეთი „სინ ოტეჩესტვა" ერთი საუკეთესოთაგანია: მოწინავე აზრების აღმსარებელი, მიუდგომელი და გაბედული. ამ გაზეთში, სხვათა შორის, გადათარგმნილი იყო ქართულ „მოგზაურიდან" ვრცელი კორესპონდენცია გურულ გლეხების მოძრაობაზე.

და ყველა ზემოხსენებულის შემდეგ „სინ ოტეჩესტვას" 30 ნომერში უცნაური, მეტი რომ არ ვსთქვათ, კორესპონდენციაა დაბეჭდილი გურიის საქმეების შესახებ, მით უფრო უცნაური, რომ ეს კორესპონდენტი ოზურგეთში ყოფილა და იქიდან იწერება.

გურიის ხალხი ის ხალხია, რომლის ამბები აქამდე კავკასიის ქედს არ გადმოსცილებია და რომელსაც წერილობითი ისტორიაც კი არ მოეძებნებაო, ბრძანებს ბრძენი კორესპონდენტი. როცა ამბობენ ამ ხალხს წერილობითი ისტორია არ მოეძებნებაო, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ანბანის გამოგონებამდე ვერ მიუღწევია, მწერლობა არასოდეს არა ჰქონია და არა აქვს და აქამდე ველურ ხალხების განვითარების საფეხურზე დგასო. როგორ მოახდინა ასეთი აღმოჩენა რუსულ გაზეთის კორესპონდენტმა, ეშმაკმა იცის. მაგრამ კორესპონდენტები სხვა და სხვა ჯურისაა და აქ ყველაფერი მოსალოდნელია.

რედაქციას კი როგორ მოუვიდა ასეთ უმსგავსობის დაბეჭდვა, იმ რედაქციას, რომელმაც ის მაინც უნდა იცოდეს, თვითონ რა წერილი დაბეჭდა იმავ საგანზე რამდენიმე დღის წინად და საიდან ამოიღო ეს წერილი. „მოგზაური" ხომ რუსულად არ იბეჭდება?

„ნოვოსტი"-ში რომ სტარცევის წერილი იყო დაბეჭდილი გურულ გლეხების მოძრაობასა, მათს კულტურობასა და ქართულ პრესაზე, მას შემდეგ აღარ მოველოდით რუსულ პროგრესიულ გაზეთში ისეთ ფრაზას, როგორიც არის გურულებს „წერილობით ისტორია არ მოეძებნებაო."

კორესპონდენცია მთელ სამ სვეტზეა გაშლილი და ისეთ შთაბეჭდილებას იძლევა, თითქოს მთელი მოძრაობა გურიისა თოფის სროლა იყოს და მეტი არაფერი. მოყვანილია საუბარი ადგილობრივ ბოქაულთან და ტყვიის ზუზუნის მეტი არა ესმის-რა.

განზრახ ფაქტების დამახინჯებას ვერ დავწამებთ „სინ ოტეჩესტვა"-ს რედაქციას—ერთობ კარგი რეპუტაცია აქვს, „რუს"-სავით რუსული „პატრიოტი" არ არის, არც მასავით ოპორტუნისტი,—მაგრამ მეტის-მეტი დაუდევრობა რომ მოუვიდა, ეს-კი ეჭვს გარეშეა.

რუსეთის ქრონიკა

თამბაქოს მონოპოლიის შემოღება გადაწყვეტილი ჰქონია თურმე ფინანსთა სამინისტროს. რაკი არაყის მონოპოლიით დიდი შემოსავალი აქვს ხაზინას, ეხლა, რადგან ფინანსიური გაჭირვება სახელმწიფოსი დიდია, თამბაქოს ვაჭრობის მონოპოლიით სურთ გაჭირვებულ მდგომარეობის შემსუბუქება.

სასულიერო სემინარიებში წელს, სინოდის გადაწყვეტილებით, უეგზამენოდ უნდა გადაიყვანონ მოსწავლენი ერთის კლასიდან მეორეში. („რ. ს.").

პოლიციასთან შეტაკება სარატოვში. 18 მარტს ქალაქის თეატრში ექიმებმა წაიკითხეს ლექციები ხოლერაზე. თეატრში იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ ტევა არ იყო. ლექციები რომ წაიკითხეს, სიტყვის თქმა მოინდომა ნაფიც ვექილ კუპერნიკმა, რომელიც ჩამოსული იყო აქ ერთ პოლიტიკურ საქმისათვის სასამართლოში. პოლიცმეისტერმა ნება არ მისცა; ამის გამო თეატრში დიდი უსიამოვნება გამოაცხადეს, ბევრი ჰყვიროდა—„ძირს პოლიცია"-ო. ხალ

ხის თეატრიდან გასარეკად ჯარს დაუძახეს, მაგრამ სანამ ჯარი მოვიდოდა, ბევრი პროკლამაცია დაბნიეს და სარევოლუციო სიტყვები წარმოსთქვეს; შემდეგ ხალხი გამოვიდა თეატრიდან და რუსულ მარსელიეზის სიმღერით შეუდგა ალექსანდრეს ქუჩას. ჯარმა გზა გადაუღობა; გავარდა ხუთჯერ რევოლვერი, მაგრამ არავინ დაშავებულა. აქვე დააპატიმრეს 39 დემონსტრანტი, რომელნიც საპატიმროშივე დარჩებიან საქმის გამოძიებამდე; ბევრია პოლიციელებისაგან ნაცემი; ამათგან ზოგმა საჩივარი შეიტანა პროკურორთან. („რ. ვ.“).

მომქმედ ჯარის გენერლები იაროსლავლში. აქ სინემატოგრაფია გამართულია, სხვათა შორის, უჩვენებენ საზოგადოებას პორტ-არტურის ბრძოლის სხვა-და-სხვა ეპიზოდებს და ასე თუ ისე ცნობილ გენერლების პორტრეტებს. დიდის ტაშის ცემით შეხვდნენ მაკაროვის, როჟესტვენსკის, ლინევიჩის და კიდევ უფრო ვერეშჩაგინის პორტრეტებს, კუროპატკინს ტაშიც დაუკრეს და უსტვინეს კიდეც; კუროკის სიცილითა და ტაშის კვრით შეხვდნენ, ალექსეევს კი ერთხმად უსტვინეს.

ალეგორიულმა ფიგურამ, რომელსაც გულზე „ზავი“ ეწერა, აღტაცებული ტაშის კვრა გამოიწვია. („რ.“).

მართალია ბ-ნ თ. ჟორდანია?

(დასასრული *)

როგორც ზევითა ვსთქვით, ექსარხოსმა თავის აზრის დასასაბუთებლად იმოწმა საოლქო და საეპარქიო ზედამხედველები (ვოსტორგოვი და ჟორდანია). ვოსტორგოვმა განიმეორა თითქმის სიტყვა-სიტყვით ექსარხოსის ნათქვამი და ასე დაამთავრა თავისი სიტყვები; „ბატონებო, მე დედა ენის მომხრე ვარ, თქვენ-კი დედა-ენის წინააღმდეგნი ხართო“.

ასე გადმოგვცემს ბ. ჟორდანია ვოსტორგოვის ნალაპარაკევს და დარწმუნებულია, რომ ვოსტორგოვი სრულს სიმართლეს ლაპარაკობს, რომ იგი მუდამ დედა-ენას იცავდა. ბ. ჟორდანიას ვოსტორგოვისაგან ჰქონდა გამაგრებული ზურგი და ეხლაც წინ წამოგვიყენა ვოსტორგოვი თავის გასამართლებლად: ესეც კი დედა-ენის მომხრეა და მასთან, რასაკვირველია, სამშობლოს ქეას ვიცავო. მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის—და ამის მრავალი მაგალითი აქვს ხელში,—რომ ვოსტორგოვი ყოველთვის იმას ცდილობდა, როგორმე მოესპო და გაენადგურებინა ქართული ენა! გავიხსენოთ სამრევლო სკოლებისათვის ახლად შემუშავებული პროგრამა. განა ამ პროგრამამ არ გამოდევნა ქართული სამრევლო სკოლებიდან, სადაც მას მცირეოდენი ადგილი მაინც ჰქონდა დათმობილი?

როდესაც უნდა გამოეთქვა თავისი აზრი ბ. თ. ჟორდანიას, მან პირდაპირ აზრის გამოთქმა ვერ გაბედა და ორჭოფობა დაიწყო: მე პირდა-პირ და გადაჭრით ჩემს აზრს არ ვიტყვი, ხოლო ვისაც ეჭვი აქვს, მკითხოსო. ამაზე დაეთანხმა ექსარხოსი და ბ. ჟორდანიას (როგორც თვითონ ამბობს) დაუყენეს ორი კითხვა; პირველი იყო: „რომელი მეთოდი უფრო შესაფერისია სამრევლო სკოლებში რუსული ენის შესასწავლად—ბუნებრივი (მუნჯური) თუ შედარებითი? ამ კითხვაზე, რომელიც დაყენებული იყო ქალაქის თავის მიერ, საეპარქიო ზედამხედველმა უპასუხა: დღევანდელ მდგომარეობაში სამრევლო სკოლებში რუსული ენის ინტერესებისათვის უფრო შესაფერისად მიმაჩნია შედარებითი მეთოდი; ხოლო როდესაც სამრევლო სკოლებს ეყოლება სპეციალისტი მასწავლებლები, როდესაც გვექნება საკმარისი საშუალება თვალსაჩინო ნივთების შესაძენად (რომელთაც თხოულობს ბუნებრივი მეთოდი), მაშინ შეიძლება ლაპარაკი, რომელს მეთოდს უნდა მიეცეს უპირატესობა“.

აქ მოყვანილ სტრიქონებში ცხადად ხედავს მკითხველი, როგორ ცდილობს ბ. ჟორდანია, როგორმე გამოძვრეს, თავი დაიხსნას განსაცდელს, არც უფროსებს აწყენინოს, არც ქართველებს მისცეს პირდაპირი იარაღი ხელში. მაგრამ განა ეს ჰკითხეს ბ. ჟორდანიას და სხვა არაფერი? განა მარტო მეთოდის საკითხი ეინტერესებოდათ მის მოწინააღმდეგეებს და არა ქართული ენის გამოდევნა სამეგრელოს სკოლებიდან? განა მეთოდის სხვადასხვაობამ გამოიწვია ისეთი ცხარე შეტაკება? განა მეთოდზე ლაპარაკობდა ან ექსარხოსი ან ვოსტორგოვი? ამისთვის დაიმოწმა ექსარხოსმა ზედამხედველები? ეს ყველაფერი არ ეთანხმება ერთი მეორეს და რასაც ბ. ჟორდანია სწერდა თავში, ის ეწინააღმდეგება იმას, რასაც ამბობს ახლა.

ეს კიდევ უფრო აშკარავდება მეორე კითხვის დაყენებისაგან, რომელიც იყო ასეთი: „რომელ ხალხს ეკუთვნიან მეგრელები, ქართველები არიან ისინი, თუ არა? ამაზე საეპარქიო ზედამხედველმა მოკლედ უპასუხა: „ამ დიდ კრებაში მე არ ვხედავ არც ერთს კაცს, რომელს შეეძლოს სთქვას, რომ მეგრელები ქართველები არ არიანო“. ასეთ პასუხს დაუყოვნებლივ დაუმატა საოლქო ზედამხედველმა, რომ იგი არასოდეს არ ამბობდა და ახლაც აღიარებს, რომ მეგრელები ქართველი ტომისანი არიან, ხოლო მრავალი საუკუნოების განმავლობაში მეგრული ენა და სხ...“ ასეთმა მოკლე შენიშვნამ დაარწმუნა და დააკმაყოფილა ყველანი, რადგან არავის არაფერი უპასუხნია“.

ამრიგად, როგორც ბ. ჟორდანია ირწმუნება, სულ ადვილად და მალე დაკმაყოფილდა ყველა; დაკმაყოფილდა და დაიჯერა, რომ მეგრელები ქართველი ტომისანი არიანო; საზოგადოებას ის უნდოდა თურმე გაეგო მხოლოდ, რას იტყვის ბ. ჟორდანია მეგრელთა ჩამომავლობის შესახებ.

რა გულუბრყვილოა ბ. ჟორდანია! მაგრამ არა, ბ ჟორდანია თვითონ არაა გულუბრყვილო, ჰგონია, რომ სხვები არიან გულუბრყვილონი, რომ ასე ადვილად შეიძლება ყველასი მოტყუილება. ახირებული საქმეა! საზოგადოება ბ. ჟორდანიას იმის ბრალსა სდებს, რომ ქართული ენის გამოდევნას ცდილობდით, ის-კი სიტყვას ბანზე აგდებს: მე არ ვამბობ, მეგრელები ქართველები არ არიანო. ამას არც ვოსტორგოვი ამბობს (ეს ბ. ჟორდანიას ავტორიტეტია!) მაგრამ... დიახ, საქმე ამ „მაგრამ“-შია,—მეგრული ენა მაინც მოშორდა ქართულს, დღეს მეგრელების დედა-ენა მეგრულია და ქართული უნდა გამოიდევნოს სამეგრელოს სკოლებიდან!

თავის საპასუხო წერილში („ცნ. ფ.“ № 2778) ბ. ჟორდანია ამბობს: „ჩემს წლიურ ანგარიშში მეგრულის ქართულ ენობას-კი არ უარვყოფ (ეს არც იმ ყალბ ანგარიშში სწერია და ბოროტ-განზრახვით მოგონილია)“. ეს აშკარა სიცრუეა. იმ ვითომდა ყალბ ანგარის მე-29 გვ. ვკითხულობთ ბ. ჟორდანიას სიტყვებს, „სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნას საფუძვლად უდევს ის ყველასათვის ცხადი ჭეშმარიტება, პედაგოგიური აქსიომა, რომ გაუგებარი და უცნობი ბავშვებს უნდა აუხსნან იმ ენაზე, რომელიც მათ ესმისთ და თუ მეგრელ ბავშვებს თავისი დედა-ენა, მეგრული, უკეთ ესმისთ, ვიდრე ქართული... საოლქო და საეპარქიო ზედამხედველები ყოველთვის მომხრენი იყვნენ დედა-ენის და რადგან მეგრელების დედა-ენა არის მეგრული და არა სხვა რომელიმე...“

ასე სწერს ანგარიშში ბ. ჟორდანია და გაზეთში ფიცულობს, მე მეგრულის ქართულ ენობას არ უარვყოფო!

კიდევ ერთი სიყალბე ბ. ჟორდანიასი და გავათავოთ, გამორკვეულია მისი ფიზიანომია. მის მიერ მოწონებულ ანგარიშის მე-37 გვერდზე სწერია, რომ სამრევლო სკოლებში „ქართული ბიბლიოთეკა უნდა შესდგებოდეს მხოლოდ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ შინაარსის წიგნებიდანო“.

„ქართველს მოღვაწეს“, „ქართული ენის მოყვარეს“ მეტი არაფერი ემეტება ქართულ ბიბლიოთეკებისათვის. მოდით და ამის შემდეგ დაუჯერეთ, რომ ქართული ენის სიყვარულს საფლავში ჩაიტან და მის დალატს არავის გაპატიებო!

ასეთი მარგალიტი ბევრია ბ. ჟორდანიას ანგარიშში, მაგრამ კმარა, რაც ამოვწერეთ. ნათქვამიდანაც საკმაოდ გავიცანით ბ. ჟორდანია. ისიც ბევრია, რომ ამდენი ვილაპარაკეთ იმის პიროვნების შესახებ. **კალამი.**

წერილები

თელავი. ქალაქის რწმუნებულთ რომ თავის დროზედ გაეთვალწინებინათ სხვა ქალაქებში მომხდარი გაფიცვა, რომელიც მოსალოდნელი იყო თელავისათვის, და რაიმე მოლაპარაკება დაეწყოთ ალა-მოსამსახურეთა შორის, გაეწესრიგებინათ დუქნების გაღება-დაკეტვის დრო და სხვა, შეიძლება ის ამბავი აღას მომხდარიყო, რომელიც მოხდა თელავში 21 მარტს, როცა მათ გაფიცვა დაიწყეს. სხდომა ჰქონდათ ქალაქის რწმუნებულთ. მეც განვგებ შევიარე, უთუოდ ამაზედაც ექნებათ სჯა-ბასი მეთქი, მაგრამ ხმაც არ ამოუღიათ, თუმცა ყველანი ვაჭრებთაგანი არიან. დრო არის თელავის მამასახლისი ჩაერიოს საქმეში და შეათანხმოს ალა-მოსამსახურენი, თორემ თვით ვერაფერს ითავებენ, მით უმეტეს, რომ არც ერთი მხარე სავსებით მომზადებული არ არის ამისთვის. მართალია რამდენიმე ინტელიგენტმა პირმა სცადა საქმეში ჩარევა, მაგრამ ასეთი საქციელისათვის ბევრს სხვანაირის თვალით შეუხედნია.

23 მარტს მოლაპარაკება ჰქონდათ ნოქარ-შეგირდთა და მოსამსახურეთაგან ამორჩეულ წარმომადგენლებს. განუსაზღვრავთ ყველა ამქრისათვის სამუშაო დრო, დუქნების გაღებ-დაკეტვა. გადაუწყვეტიათ აღების ხარჯზე დაარსება საკვირაო სკოლისა, მათის ხარჯითვე სამკითხველოში ჩაწერა, 14 წლისაზე ადრე შეგირდად და მოსამსახურედ მიღების აკრძალვა. აკრძალვა ისეთ საქმის გაკეთებისა, რაც მათ არ შეეხებათ, თავაზიანი მოპყრობა, კვირა-უქმე დღეებში დუქნების დაკეტვა და მათი სრულებით განთავისუფლება და სხვა.

23 მარტს საღამოთი ქარგალთ და სხვა ბაზრის დაბალმა ხალხმა თავი მოიყარა. ჩამოუარა მეპურეებს და პასუხი მოსთხოვა, რატომ დღეს პური არ გამოაცხეთ ან მწარეს რად აცხობთო. ზოგის დუქნებს ქვებიც დაუშინეს. მეპურეებს უპასუხნიათ, როგორსაც ფქვილსა ვყიდულობთ, ისეთი პური ცხვებაო. ამის შემდეგ მისცვივიან ფქვილის გამყიდავს და მოუთხოვიათ გამოსვლა. დუქანი დაკეტილი დახვედრიათ და მისი სახლის ფანჯრები ქვებით ჩაელეწათ. ცოლშვილი შინა ყოფილა, გადმომდგარა ცოლი და ხვეწნა-მუდარა დაუწყია. 24 მარტიდან ქალაქს სალდათების პატრულები და საერობო დარაჯნი იცავენ. **დიმიტრაშვილი**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

31 მარტი.

სინგაპური, 30 მარტი. (რეიტ.). აქ მოსულმა ბრიტანიის კრეისერმა „სუტლეი“-მ განაცხადა, გუშინ, გათენებისას, ჩრდილოეთით, ჩემს ახლოს, გაიარა რუსის ესკადრამ და მის რიცხვში 7 ჯავშნოსანმაო.

ბერლინი, 30 მარტი. „ლოკალ ანციეიგერ“-ის ცნობებით, რუსის ესკადრის მოახლოვებამ ძლიერ აღელვებს ტოკიოში ხალხს. იაპონიის პრესის აზრით რუსის ესკადრა სამხრეთ-ჩინეთის ნავთ-სადგურში შევა და მანამ არ შეებრძოლება ტოგოს, სანამ ვლადივოსტოკის კრეისერებს არ შეუერთდება.

სინგაპური. „სუტლეი“ შეხვდა რუსის ესკადრას 550 მილ. მანძილზე, ჩრდილო-აღმოსავლეთით სინგაპურიდან.

სურაბაია, (იავა), 30 მარტი, „დეილი მეილი“. მოვიდა გერმანიის იახტა რუსის ორ ოფიცრითურთ, რომელთაც აცნობეს, ბატავიაში მოსულ ოთხ სანახშირე გემზე მოსამსახურეებმა სთქვეს, ვითომც საზღვაო ბრძოლა მომხდარიყოს და იაპონელებს ოთხი გემი დაეკარგოთ. ეს ცნობა არაა დადასტურებული.

ლაბუანი. (დეილი მეილი). ხმებია, ბორნეოდან სამხრეთით დიდი ესკადრა სჩანდა. აქ დგას ამერიკის კრეისერი „რადეი“ და ბრძანებას ელის.

ტოკიო, („დეილი ტელეგრ.“). იაპონელები ემზადებიან საბოლოო ბრძოლისთვის ბალტიის ესკადრასთან. როგორც ეტყობა, იაპონელთ ჯავშნოსნებზე განუახლებიათ ზარბაზნები. არ მოსულა ცნობები ბალტიის ესკადრის გეგმებისა და მისთვის დანიშნულ ადგილის შესახებ.

გოციადანი. 29 მარტს მანდარინის გზაზე წინა რაზმმა წაიწია წინ სოფ. ცინპეიპუსკენ და შუადღისას სროლა დაუწყო ნანჩენზუს, საიდანაც სწრაფად გამოვიდნენ იაპონელთ ქვეითები და კავალერია. ტყვედ წამოვიყვანეთ მსუბუქად დაჭრილი იაპონელთ დრაგუნი. 26 მარტს მტერმა ხუნხუზების დახმარებით გააძევა ჩვენი რაზმი, ტაუნგორში მყოფი.

პეტერბურგი, 31 მარტი. გაზეთები არ უჯერებენ ცნობებს კუნძულ ანემბასთან მომხდარ ბრძოლის შესახებ, მაგრამ არც იმას ამბობენ, რომ ტყუილია ეს ცნობაო. მოჰყავთ როჟესტვენსკის სიტყვები: „თუ ჩვენ გავიმარჯვეთ, შეგატყობინებ, თუ იაპონელებმა გაიმარჯვეს ისინი გაცნობებენო“.

ლონდონი, 31 მარტი. „ლლოიდი“ იუწყება სინგაპურიდან, გემ „ნუბი“-ის უფროსი იუწყება, 29 მარტს შევამჩნიე რუსეთის ესკადრა, არა ნაკლებ 42 გემისა, რომელიც აღმოსავლეთისკენ მიდიოდაო.

მარსელი, 30 მარტი („ჰავასი). რუსეთის შხუნა „ბრენკუს“-ი ღამით გაირიყა პაპამანის ახლოს. მეზღვაურნი გადარჩნენ. ორი ბუქსირი გაგზავნეს შხუნის ამოსაყვანათ.

კალიში. გუბერნატორის თავმჯდომარეობით შეიმუშავეს ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებანი, გლეხებში თუ სერიოზული მოძრაობა დაიწყო. მთელი გუბერნია დაჰყვეს 7 რაიონად და თვითოში დანიშნეს განსაკუთრებული რაზმი ჯარებისა.

მოსკოვი, 30 მარტი. საერობო პარტია თავად ტრუბეცკოის მეთაურობით იწვევს 25 აპრილისთვის მოსკოვში ყველა გუბერნიების ერობათა მოღვაწეებს.

ბელოსტოკი, 30 მარტი. მაზრებში გლეხთა შორის პროკლამაციები ვრცელდება, რომლებშიაც ითხოვენ, არ გადაიხადოთ ხარჯიო.

პეტერბურგი, 30 მარტი. სახელობითი უმაღლესი უკაზი უმართებულეს სენატისადმი: „ჩვენის ბრძანებისამებრ 1902 წ. 22 იანვარს გამართული საგანგებო თათბირი სამეურნეო მრეწველობის შესახებ გაუქმებულ იქნას, ის საქმეები კი, რომელნიც მის ხელში იყვნენ, გადაეცეს ქვემდებარე უწყებებს და ახალ დაარსებულ საგანგებო რჩევას, რომელიც შეეხება გლეხთათვის მიწის საკუთრების საქმეს. მოახდინე საჭირო განკარგულება. ნამდვილზე მისის იმპერატორის უდიდებულესობის საკუთარ ხელ მოწერილია „ნიკოლოზ“. ბოძებულია ცარსკოე სელოში 1905 წ. 30 მარტს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

31 მარტი

ბერლინი, 30 მარტი. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი ამბობს, არაა დასაჯერებელი, რომ როჟესტვენსკის აზრად აქვს ვლადივოსტოკს მიაღწიოს თავისი მსწრაფლ-მოსიარულე კრეისერებით. გაზეთის აზრით რუსის გემები ძლიერ დაშავდნენ მადაგასკართან ყოფნის დროს და ამიტომ ვერ მიაღწევენ ამ მიზანს. „ბერლ. ლოკ. ანცეიგერ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან, ძლიერი მღელვარება გამოიწვია ცნობამ რუსისა და იაპონიის ესკადრების ახლო მომავალ ბრძოლის შესახებო. გაზეთების აზრით რუსის ესკადრიდან დიდი შიში და საფრთხე მოელის იაპონიის ზღვაოსნობას. იმ ბრძოლას, რომელზედაც ამბობდნენ ანამბასის კუნძულებთან მოხდაო, იაპონიის მზვერავ გემებთან შეტაკებათ სთვლიან. შესაძლებლად სცნობენ, რომ როჟესტვენსკის განზრახვა აქვს ალყა შემოარტყას იაპონელებს. რუსები თავისუფლად დაიჭერენ სანოვაგესა და სამხედრო სურსათს, რომელნიც დასავლეთიდან მოაქვთ იაპონიაში და ვლადივოსტოკის გზასაც გასწმენდნენ, ეს რომ მოხდებოდეს. იაპონია ბირმიდანა და იავიდან იღებს ბრინჯს და მისი შემოტანის აღკვეთა ძლიერ გავლენას იქონიებდა იაპონიაზე.

ლონდონი. აქაურ საზღვაო წრეებს არა სჯერათ ზღვაზე ბრძოლის დაწყების ამბავი. მიუხედავად ამისა გემები ყველანი იზღვევენ თავს, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც ბრინჯი მიაქვთ ინდოეთიდან იაპონიაში; იზღვევენ თავს აგრეთვე მეზღვაურნიც.

ტოკიო, 30 მარტი. როგორც გაგებული საზღვაო პირები ამბობენ, როჟესტვენსკი ივლის რამდენიმე დღის განმავლობაში საიგონის ახლო-მახლო, რათა მზვერავებს საშუალება მისცეს, აღმოაჩინონ იაპონელთ გემების სადგომი ადგილები. იაპონელებს სურთ საბოლოოთ შეებრძოლონ რუსის ესკადრას, როცა მისი მთავარი ძალები შეერთდებიან და როცა ეს ჟამი დადგება, იმ დროისთვის ადმირალი ტოგო იდგომება ფორმოზასთან ახლოს, ანა და პესკადორის კუნძულებთან.

პეტერბურგი. ლინევიჩის უქვეშევრდომილესი დეპეშა 1905 წ. 31 მარტის თარიღით. „29 მარტს შუადღისას ერთმა ჩვენ ჯართაგანის არტილერიამ ცეცხლი მიუჩინა სოფ. ნანჩანძის, სადაც იაპონელები იყვნენ დაბანაკებული. ერთის საათის სროლის შემდეგ სოფელი გასწმინდეს იაპონელებმა და დავიჭირეთ ჩვენ“.

გუნჩულინი. შახეიდან ჩრდილოეთით რკინის გზის გასწვრივ მტერი არ აღმოუჩენიათ.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში მთავრობას შეკითხვას წარუდგენენ, რა საფუძვლით მიეცა ნება რუსეთის ესკადრას, სუეცის არხთან გასვლის დროს, შეეძინა სანოვაგე და ნახშირი, მაშინ როდესაც 1898 წ. ისპანიის ფლოტს უარი უთხრეს ამაზედვეო.

რომი. გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარის ფუზანატოს თანაშემწემ სთქვა, ვკიცხავ რუსეთ-იაპონიის ომს, მაგრამ იტალიას არ შეუძლიან შუამდგომლობა გაწიოს, რადგანაც არ იცის, რა გამოვაო აქედანო.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია: გაზეთ „სინ ოტეჩესტვ.“-ის 95 ნომერში, 1905 წ. 27 მარტის თარიღით, დაბეჭდილია ებრაულ გაზეთ „პამან“-იდან ამოღებული პროექტი კანონისა ხალხის წარმომადგენელთა შესახებ. პროექტის ავტორი ვინაობას არ აცხადებს, მაგრამ ის ამბობს, რომ ეს პროექტი წარდგენილია განსახილველად შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით გამართულ თათბირზედ. ეს ცნობა ყოვლად საფუძვლისა მოკლებულია.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადა**

---

*) იხ. „ცნობ. ფურც“ № 2784

ვამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 29 მარტს 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. ტ.	94,30
ბერლინისაზე 100 მარკაში	46,10
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—
ლონდონისაზე ჩეკები.	94,90
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე	37,72½
ბერძის დისკონტი	5¼—6¾%
4% სახელმწიფო რენტა	85
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	376½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	295½
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	268
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
5½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
[illegible] გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
[illegible] გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	85
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებ გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.;) 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ(ოთხშ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

ბორო-ნაფტალინი

სრულიად აქრობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს თმის ამოსვლას; ამასთან თმას ნამდვილ სახეს აძლევს.

ნება დართულია სამკურნალო განყოფილებისაგან როგორც უვნებელი ნივთიერება. საწყობი სააფთიაქო საქონლის კავკასიის ამხანაგობისა ტფილისსა. ბაქოსა და ბათუმში; რუსეთის აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ფასი 1 მან. 25 კაპ. (5—3)



СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176—202)

კბილის

ვილებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ჩავსვამ ახალ იელოვნურ კბილებს და ვამზადებ ცუდ სუნს. გ. მ. ხოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერ. ანელიუსა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს უფასოდ. (30—26)

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

ცელულიარული გრენა

(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—3)

პირველი საწყობი

შეშისა

ბ. ი. კურცხალიასი

ანდრეევის ქუჩა, დამოქნის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარი პავოზკებით ასრულებს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაყენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან. (90—27)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

„ბალკის“

მხანაგობა (ვოკზლის ქუჩა) ჰყიდის გოგირდს და შაპიამანს. (3—144—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის 5 აპრილისათვის **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა განცხადების გაკვრის საქმე ქალაქის საგანცხადებო ბოძებზე.

ბოძების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, 9½-დან 2½ ს. (3—2)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვის, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. цен. Тифлисъ, 31 Мартъ 1905 г

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.